გილოცავთ ახალ წელს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

იანვარი
1
პარასკევი

გამოცემის 40-40 წელი
№ 1 (11612)

პარასკევი, 1 იანვარი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ხალხს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

საახალწლო მილოცვა

ძვირფასო ამხანაგებო! მუშებო, კოლმეურნეებო, ჩვენო სახალხო ინტელიგენციავ, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო, შესანიშნავო საბჭოთა ახალგაზრდობავ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად გილოცავენ ახალ წელს.

კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის მარადიული დიდებისა და შესანიშნავ გამარჯვებათა ფურცლად შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში 1959 წელი. წლის დამდეგს ჩვენმა პარტიამ თავის რიგგარეშე XXI ყრილობაზე დასახა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

დღეს ყოველ საბჭოთა ადამიანს თავისი საბჭოთა სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით შეუძლია თქვას, რომ ეს პროგრამა წარმატებით სრულდება. მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების შთაგონებული შემოქმედებითი შრომის შედეგად შვიდწლედის პირველი წლის გეგმა მრეწველობის დარგში გადაჭარბებით შესრულდა. სოციალისტურმა ინდუსტრიამ მოგვცა ათობით მილიარდი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

შესანიშნავი წარმატებებით აღინიშნა კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და საბჭოთა სოფლის ყველა მშრომელის შრომა. ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ დიდ მარცვლეულის რაიონებში გვალვის მიუხედავად, გასულ წელს აღებული და დამზადებულია საკმაო პური ჩვენი ქვეყნის საჭიროების მთლიანად უზრუნველსაყოფად. ჩქარი ტემპით ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ჩვენმა ქვეყანამ 1959 წელს აწარმოვა მეტი რძე, ვიდრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, და გაუსწრო ამერიკას ერთ სულ მოსახლეზე კარაქის წარმოებაში.

ახალი უდიდესი აღმოჩენებითა და გამოკვლევებით გაამდიდრა კაცობრიობა ჩვენმა სამამულო მეცნიერებამ და ტექნიკამ. საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, კონსტრუქტორებისა და მუშების გენიით და შემოქმედებითი შრომით ახალი სასახელო ფურცელი ჩაიწერა სამყაროს შეცნობის ისტორიაში — საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მიაღწია მთვარეს, ხოლო საბჭოთა საპლანეტათშორისო კოსმოსურმა ლაბორატორიამ გადაიღო მისი უხილავი მხარის ფოტოსურათი. შექმნილია და საბჭოთა ფლოტის შემადგენლობაში ჩადგა მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“. სულ უფრო ფართოდ ვიყენებთ ჩვენს ქვეყანაში ატომის ენერგიას სამშვიდობო მიზნით, კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. წარმატებით ხორციელდება ტექნიკური პროგრესის პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა.

წარმატებები სოციალისტური ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში საფუძვლად დაედო ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას.

გასული წელი აღინიშნა სასიხარულო ცვლილებებით საერთაშორისო ასპარეზზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა და კიდევ უფრო განმტკიცდა მათი ძმური თანამშრომლობა.

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირს მისი ინიციატივისათვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. თვალსაჩინო წვლილი ამ კეთილშობილურ საქმეში იყო ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი გამოსვლები ამერიკელი ხალხის წინაშე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე ყველა შრომისმოყვარე ძალთა ღონისძიებების მეოხებით გაუმჯობესდა საერთაშორისო ვითარება, რამაც ხალხებს ჩაუნერგა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების იმედი.

ჩვენ ვაცილებთ 1959 წელს ამაყნი იმის შეგნებით, რომ მან კიდევ უფრო აამაღლა საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერება, გააუმჯობესა ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა, კიდევ უფრო განამტკიცა ყველა სოციალისტური ქვეყნის ძმური თანამშრომლობა და კიდევ უფრო აამაღლა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი.

ძვირფასო თანამემამულენო!

ჩვენი ქვეყანა ძალღონით სავსე ეგებება 1960 წელს — შვიდწლედის მეორე წელს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა, ჩვენს წინაშე სახავს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ახალი მძლავრი ზრდის, სსრ კავშირის ხალხთა მრავალეროვნული კულტურის აყვავების სასიხარულო პერსპექტივას. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, რომელიც გაიმართა ძველი და ახალი წლის მიჯნაზე, შეიმუშავა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ფართო პროგრამა, რომლის შესრულება კიდევ უფრო სასიხარულოს გახდის საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახალ წელს, ისევე როგორც წინათ, მტკიცედ და თანამიმდევრულად იბრძოლებენ ახალი წარმატებებისათვის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

დაე კვლავაც იზრდებოდეს, მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

დაე იზრდებოდეს და მრავლდებოდეს ჩვენი ქვეყნის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის შემოქმედებითი ღონისძიებანი შვიდწლედის მეორე წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში!

დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხთა ძმური კავშირი და მეგობრობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის!

გაუმარჯოს პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიად ერთობას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების საწინდარს!

გისურვებთ, ძვირფასო თანამემამულენო, ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებასა და დიდ წარმატებებს მთელ თქვენს ცხოვრებასა და კეთილშობილურ მოღვაწეობაში სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მოგილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ ახალ ბედნიერებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. მაკმილანმა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შ. დე გოლმა წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს

29 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ელჩებმა მოსკოვში ინახულეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანის, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის შ. დე გოლის პირადი წერილები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე. დასავლეთის სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელები თავიანთ წერილებში წინადადებას იძლევიან უმაღლეს დონეზე ოთხი სახელმწიფოს თათბირის გახსნა დაინიშნოს 1960 წლის 16 მაისს პარიზში.

30 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ სამი სახელმწიფოს ელჩებს გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის შ. დე გოლის სახელზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი საპასუხო წერილებში იტყობინება, რომ საბჭოთა მთავრობას თავისთვის მისაღებად მიაჩნია უმაღლეს დონეზე ოთხი სახელმწიფოს თათბირის გახსნის თარიღი — 1960 წლის 16 მაისი.

ამჟამად, ნათქვამია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილებში, შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა ურთიერთ კონსულტაციების შედეგად მიღწეულია საბოლოო შეთანხმება უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის თარიღისა და ადგილის შესახებ. (საკდესი).



მოაქვს ახალ წელს ბევრი სიხარული, ხალხთა მშვიდობა, ბედნიერება.
ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

გადაცემა მედლებისა „შრომითი მამაცობისათვის“

31 დეკემბერს, ახალი წლის წინა დღეს, კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. გ. იგნატოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეს ა. ბ. არისტოვს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დ. ს. პოლიანსკის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრს ვ. ვ. მაცკევიჩს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს ტ. დ. ლისენკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკათა სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს გ. ა. დენისოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს გ. ი. ვორობიოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ პარტიული ორგანოების განყოფილების გამგეს მ. ტ. ეფრემოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანაშემწეს ა. ს. შევჩენკოს, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს პ. ნ. დემიჩევს, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვ. ი. კონოტოპს და საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსს, ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მებოსტნეობის კათედრის გამგეს ვ. ი. ედელშტეინს.

ბრძანებულება დაჯილდოების შესახებ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ.

გადასცა რა მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, კ. ე. ვოროშილოვმა მხურვალედ და გულითადად მიულოცა მას მაღალი ჯილდოს მიღება.

მიიღო რა მედალი, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა სულითა და გულით გადაუხადა მადლობა კომუნისტურ პარტიას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საპატიო ჯილდოსათვის, რომელსაც იგი ატარებს დიდი ღირსებით. შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ იგი წინანდებურადვე მთელ თავის ძალღონეს მოახმარს საბჭოთა ხალხის სამსახურს და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეს.

კ. ე. ვოროშილოვმა მისალმების სიტყვებით მიმართა ამხანაგებს ნ. გ. იგნატოვს, ა. ბ. არისტოვსა და დ. ს. პოლიანსკის, აღნიშნა მათი დიდი ორგანიზატორული მუშაობა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დასარაზმავად სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც მათ იკისრეს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

გადასცა რა ჯილდოები ამხანაგებს ვ. ვ. მაცკევიჩს, ტ. დ. ლისენკოს, გ. ა. დენისოვს, გ. ი. ვორობიოვს, მ. ტ. ეფრემოვს, ა. ს. შევჩენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. კონოტოპს და ვ. ი. ედელშტეინს, კ. ე. ვოროშილოვმა გულთბილად მიულოცა თითოეულ დაჯილდოებულს და ახალი წარმატებანი უსურვა მუშაობაში ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

დაჯილდოებულმა ამხანაგებმა დიდი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას მათი დამსახურების მაღალი შეფასებისათვის.

დასასრულ კ. ე. ვოროშილოვმა ერთხელ კიდევ მიულოცა დაჯილდოებულთ მედლების მიღება, უსურვა მათ ჯანმრთელობა, შემდგომი წარმატებანი დიდ მუშაობაში ახალ 1960 წელს. (საკდესი).



მზის ღიმილი

ჩვენი სამშობლოს ცას ღიმილი სჩვევია. მზიანი იყო 1959 წელი ჩვენს ქვეყანაში... არ არის სოფელი, არ არის ქალაქი, რომ შვიდწლედის პირველი წელი წინსვლით არ ენიშნოს. გამარჯვებით დამთავრდა რუსთაველ მეფოლადეთა წელიც.

ერთხელ მოვხვდი ქართველ მეფოლადეთა ჯგუფში, რომელნიც მეგობრულად საუბრობდნენ.

ერთმა თქვა:

— როდესაც მე რუსთავში ბრუნდები, თავდაპირველად მის ას შევცქერი. მიხარია, ქარხნის ავზე კვამლი რომ მისრიალებს ცისკენ. იცით, ეს არის ქართული ფოლადის კვამლი!

— ჩემი აზრით, ფოლადი ყველაფერში უნდა ერიოს, აი, თუნდაც კაცის მარჯვენაში, ადამიანის მაში.

აბა არ ერიოს მეტალურგების მარჯვენაში, მათ ხასიათში, მათ თვალთა გამოხედვაშიც კი ფოლადი, და ვნახავდით, როგორ შეძლებდნენ ქარხნის მთელი წლის გეგმების დეკემბრის შუა რიცხვებში შესრულებას, როგორ მისცემდნენ ქვეყანას გეგმის ზევით რამდენიმე ათეულ ტონამდე ფოლადს, თუჯს, ნაგლინს და მილებს.

მე დავათვალიერე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქრო.

ამ საამქროში პირველ ბრიგადას ხელმძღვანელობდა ოსტატი დ. ძაგანია. ის დაიბადა გეგეჭკორის რაიონში. იქვე იზრდებოდა. ქართული მთების, მათი მოხატული ფერდობებისა და სიმინდის ყანების მეტი არაფერი ენახა მას თავის ბავშვობაში. მაგრამ სამშობლომ გაზარდა და აღამაღლა იგი. მთელი საბჭოთა კავშირი შემოატარა, ძვირფასი ხელობა შეასწავლა. ის დაოსტატდა დნეპროპეტროვსკსა და პერვოურალსკში.

მისი ბრიგადა წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობს. გეგმების შესრულება სადარდებლად არა ჰქონია. მისი საზრუნავი მუდამ გეგმების გადაჭარბება იყო. მაგრამ აი შარშან ზაფხულში საამქროს მეოთხე ბრიგადამ ჩამორჩენა დაიწყო. ბრიგადის წარმატებას მნიშვნელობა ეკარგებოდა. რადგან საამქროს საერთო მაჩვენებლები დაბალი იყო. შეწუხდა დ. ძაგანია, შეწუხდა მთელი მისი ბრიგადა. მათი შრომა წყალში გადაყრილს ჰგავდა.

ერთ დღეს დ. ძაგანიამ მეგობრულად მიმართა ჩამორჩენილი ბრიგადის ხელმძღვანელს:

— ვასილ, ჩემო ძმაო, რატომ ვერ ააწყე მუშაობა? რაშია საქმე?

— განცვიფრებული ვარ. დღემუდამ თავს დავტრიალებ მთელ ჩემს ბრიგადას. თვალს არ ვაშორებ დგანებს. ვერაფრით ვერ აეწყო მუშაობა! — გულნაკლულად მიუგო ვასილმა.

— მოდი, ძმაო, შენ ჩემს ბრიგადას უხელმძღვანელე. ის რიტმულად და შეწყობილად მუშაობს. არ გეწყინოს, მეგობარო, და მე შენს ბრიგადაში გადავალ!

შეთანხმდნენ და შეენაცვლნენ ერთმანეთს.

უცნაურობა მოხდა. მთელი საამქრო განცვიფრდა. რა კაცია ეს ძაგანია, ჯადოქარი ხომ არ არის?! პირველსავე დღეს ასსამოცი პროცენტით შეასრულეს გეგმა. მეორე დღესაც იგივე მოხდა. აღფრთოვანდნენ ბრიგადის წევრები. დაბლა აღარ დაუშვეს ერთხელ ზეაღმართული წარმატების დროშა. წლის ბოლომდე ასეთი წარმატებით იმუშავეს.

ბრიგადამ პარტიულ ორგანიზაციას სთხოვა ნება მიეცათ ებრძოლათ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოპოვებისათვის.

— იბრძოლეთ! — უპასუხეს მათ.

დ. ძაგანიამ მშვენივრად იცის, რომ მთელი კოლექტივი მჭიდრო და ერთიანი უნდა იყოს. საქმის ერთგული, ერთმანეთისადმი მეგობრული სიყვარულით გამსჭვალული მეტალურგები სწავლას შეუდგნენ. ზოგი საღამოს ტექნიკუმში შევიდა, ზოგი საღამოს უნივერსიტეტში. ისინი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ. განაგრძობენ მუყაით შრომას, ასრულებენ გეგმებს, ამზადებენ მაღალი ხარისხის მილებს, ეწევიან საწვავი მასალისა და ელექტროენერგიის ეკონომიას. მთელ საამქროს მაგალითს აძლევენ ერთმანეთთან ადამიანური, ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულებით.

— წარმოუდგენელი ამბავი იქნება, ბრიგადის წევრთა შორის უბრალო შელაპარაკება რომ მოხდეს. ეს მაშინვე დაარღვევს დგანების რიტმულ მუშაობას და გეგმებიც შეფერხდება! — ამბობს ძაგანია. — გულწრფელი მეგობრობა, ერთმანეთისათვის ხელის შეწყობა, დარდიც და სიხარულიც საერთო უნდა გვქონდეს!

მართლაც ასეა. დარდიც და სიხარულიც საერთო აქვთ. ხშირად დასვენების დღეებსაც ერთად ატარებენ. ერთად მიემგზავრებიან საექსკურსიოდ.

დ. ძაგანიას მარჯვენა ხელია უფროსი მგლინავი ავთანდილ ტარუაშვილი. ჯმუხი, ჩასკვნილი ვაჟკაცი, სწრაფი და ენერგიული. ის ამხანაგური და მგრძნობიერია, მაგრამ მუშაობის დროს არ უყვარს ნელი მოძრაობა, ძალზე მომთხოვნია და ყველას მიმართ ერთნაირია. ბრიგადის წევრებმა იციან მისი ხასიათი და მუშაობის დროს ყველა დაძაბულია. ის ტონს აძლევს შრომას. მათი საამქრო ფოლადის მილებს ამზადებს, რომლებიც ქვეყანას ესაჭიროება ავიაციაში, გემთმშენებლობაში, ნავთის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებისათვის, და რადგან სახელმწიფო მოელის ამ მილების გათვალისწინებულ რაოდენობას, განა გეგმების ჩაშლა შეიძლება?!

მაგრამ არა მარტო ერთი ბრიგადა და ერთი საამქრო, არამედ მთელი რუსთავი ერთი ფიქრით არის გამსჭვალული. მათი სიხარული მუდამ საერთოა.

1959 წელმა ბევრჯერ გაახარა რუსთაველები.

საამაყო იყო საბრძმედო საამქროში არჩილ ძამაშვილის მიერ კომუნისტური შრომის ბრიგადის ჩამოყალიბება. ეს ბრიგადა ამ მოძრაობის ინიციატორი შეიქმნა მთელ ქარხანაში. მას მოჰყვა მარტენის საამქროს ოსტატის სიმონ სიხარულიძის მიერ ბოყვების უბნის კომუნისტური შრომის უბნად გამოცხადება. მათ უარი თქვეს ტექნიკურ კონტროლზე. ხარისხზე თვითონვე აგებენ პასუხს და დღემდე სირცხვილი არ უჭამიათ. მთელ რუსთავს ახარებდა მარტენის საამქროს მეფოლადის სიგუასი და ოსტატის შალვა კუხალეიშვილის წარმატებები.

დიდი სიხარული გამოიწვია ყარადაღის ცისფერმა ჩირაღდანმა, რომელიც აენთო მარტენის საამქროში და თბოელექტროცენტრალში. ყველა გაახარა რუსთავის მეფოლადე ახალგაზრდობის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებამ სტალინოს მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდობასთან, წარმატება მოიპოვეს რუსთავის ახალგაზრდა მეტალურგებმა გამოშვებული ფოლადის ხარისხით, ზეგეგმითი პროდუქციის რაოდენობით.

შარშან დაბრუნდნენ ორიოდე წლის წინათ ინდოეთში წარგზავნილი ქართველი ინჟინრები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ინდოეთის ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაში. ინჟინერ-მშენებლებმა იასონ გუმბერიძემ და პლატონ ჩიკაბერიძემ, ენერგეტიკოსმა თენგიზ ტიმოთეევმა თავი ისახელეს ინდოეთის ამ პირმშო ქარხნის მშენებლობაში, რითაც რუსთავიც ასახელეს.

მაგრამ მთავარი სიხარული ის იყო, რომ რუსთავის მეტალურგებმა სრულიად უავარიოდ შეასრულეს გეგმები ყველა დარგში. სამშობლოს მისცეს ასეული ათასი ტონა ფოლადი და ათეული ათასი ტონა მილი, რომლებიც საბჭოთა კავშირის გარდა გაიგზავნა რუმინეთში, ჩინეთში, ინდოეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში. ქართული ფოლადი მთელ მსოფლიოს მოედო.

დღესაც იღიმება საქართველოს ცა. 1960 წელიც მზის ღიმილით დაიწყო.

ელიზბარ ზედგინიძე.

სურათზე: ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს მოწინავე ბრიგადირი დ. ძაგანია.

მეგობრები გვილოცავენ

„კომუნისტის" მკითხველებს

კანონით ახლა მე თქვენთან უნდა ვიყო. როგორც გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, დეკემბრის ბოლოსათვის უნდა ჩამოვსულიყავი. მაგრამ ეს-ეს არის დავამთავრე „გატეხილი ყამირის" მეორე წიგნი და ახლა მისმა სწორებამ გადამიყოლა. გადადება კი არაფრით აღარ შეიძლება... როგორც კი ამ სამუშაოს მოვრჩები, ჩამოვალ. კარგი იყო მანდ ვყოფილიყავი, ერთად შევხვდებოდით ახალ წელს და გადავეხვეოდით ერთმანეთს. ახლა კი შორით გიკრავთ გულში და გილოცავთ ახალ წელს.

კეთილი ყოფილიყოს 1960 წლის შემობრძანება ქართულ მიწაზე.

მიხეილ შოლოხოვი.

* * *

ძველისძველად მგზავრი თბილის-ქალაქში ფეხით ან ცხენით მიდიოდა. გრძელი გზა ედო მას წინ. მგზავრი გზაში იგებდა ხოლმე, თუ როგორ აშენდა ქალაქი, როგორ გაიზარდა და რამდენი მაცხოვრებლით იმატა.

თუ როგორ გამოიცვალა თბილისი დღეს, ახლაც იგებს ხოლმე კაცი, რომელიც უკანასკნელ რამდენიმე წელს თბილისში არ ყოფილა. მაგრამ რა შედარებაა, სად ძველისძველათ და სად ახლა. სოციალისტური საქართველოს დედაქალაქში ჩასასვლელად მგზავრს აღარ სჭირდება არც ფეხით და არც ცხენით სიარული. ძალუმი საჰაერო ხომალდი გადაატარებს მას მთებსა და ველებს და სულ ორსაათიანი მგზავრობა დასჭირდება მოსკოვიდან მტკვარზე გაშენებულ ქალაქში ჩასასვლელად. თავისი ახალი სილამაზით გააოცებს თბილისი ჩასულ კაცს. შუქმოფინილი, ძველი თბილისის გადმა გასული ახალი მშენებლობები, ხალხმრავალი, უზარმაზარი და მოწინავე ქალაქი დახვდება მას და, ვიდრე იგი გულწრფელად აღტაცებული იცქირება ირგვლივ, დედაქალაქი თავის ახალ მშენებლობათა გეგმებს გადაუშლის თვალწინ და ჩასულს კვლავ გააოცებს ახალი ცხოვრების აღმაფრენა, არნახული სწრაფვა მომავლისაკენ.

მაგრამ თუ კაცს უნდა, რომ დარჩეს უშრეტ შთაბეჭდილებათა მარაგი, იმ ძველთაძველი მგზავრის მსგავსად შორეულ და გრძელ გზაზე ფეხით უნდა იაროს თბილისამდე. მაშინ იგი დარწმუნდებოდა, თუ როგორ გამოიცვალა არა მარტო თბილისი, არამედ მისი შემოგარენიც, მთელი საქართველო. სოფლიდან სოფლამდე, ქალაქიდან ქალაქამდე, ქარხნიდან ქარხნამდე ფეხით სიარულისას ის თავისი თვალით დაინახავდა გამარჯვებულ და ფესვმაგარ ცხოვრებას, ბოლოს კი თავისი გზის შედეგს — უთვალავი ნათურით გაჩირაღდნებულ თბილისს, როგორც დიდი გზის ჯადოქრულ დასასრულს.

და ის მეგობართა წრეში მადლიანი ღვინით სავსე სასმისით შეხვდებოდა ახალ წელს, თბილისს კარგ, ბარაქიან, გმირულ შემოქმედებით წელიწადს უსურვებდა ყველა ჩვენგანის სასიხარულოდ...

ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ თბილისსა და მთელ საქართველოს, მშვიდობისა და შრომის წელს, ახალ დიდ შრომით მიღწევებს, ახალ დიდ ადამიანურ სიხარულს ვუსურვებ ყოველ ადამიანსა და ყოველ ოჯახს.

ნიკოლოზ ტიხონოვი.

ბედნიერებას გაუღე კარი!

ხუტა ბერულავა

ახალი წელი! შემოვიდა მისი ნათელი
და სხვა იმედი მოიტანა, სხვა ჟრუანტელი.

მოდის... და სიტყვა ჯარისკაცის, მგოსნის, მეგუთნის
უპირველესად ჩვენს საყვარელ მამულს ეკუთვნის.

ჩვენს დიდ სამშობლოს დავულოცოთ გზა დიდი, ძნელი.
გასთენებოდეს მზიანი და სვიანი წელი!

დაე აღსრულდეს შვილთა მისთა ნაოცნებარი
და მთელ სამყაროს კვლავ აჩვენოს საოცრებანი.

წამოვდგეთ ისევ, სადღეგრძელო ახლა შენია.
გარდა სიკეთის, მე ამ გულში რა დამრჩენია.

მასაც უკლებლივ შენ მოგიძღვნი, როგორც მეგობარს.
მე რა დამრჩება? სიხარული შენი მეყოფა.

იყავ, იცოცხლე, იდღეგრძელე და გაიხარე,
არ დაიხარო, როგორც ადრე არ დაიხარე.

ახლა კი გესმის? რა საამოდ წკრიალებს ზარი, —
ბედნიერება დგას კარებთან, გაუღე კარი!

როცა ახალ წელს ვდღესასწაულობდით

სამქროს შესასვლელში დაკიდებული საათი მაჩანჩალა კაცივით ითრევს ფეხს. ხარატი ზურაბ გველუკაშვილი მალ-მალე იხედება იქითკენ. კარზე ახალი წელი აკაკუნებს.

ახლა ალბათ ოჯახის უფროსი ფეხზე ამდგარი ილოცება: ბედნიერი ახალი წელი გაგვითენებოდეს!

დიასახლისი სტუმრებს უხვად უმასპინძლდება ტკბილეულით: ასე ტკბილად დამიბერდითო.

ილოცება მშრომელი კაცი, სიყვარულით ნაშენი ოჯახი.

ზურაბს ცხადად ესმის ჭიქების წკარუნი, მაგრამ საამქროში არც მაგიდებია და არც საახალწლო სუფრასთან შეკრებილი ხალხი ჩანს. ლურჯხალათიანი ხარატები სახელოდაკაპიწებულნი დგანან ჩარხებთან. წრიპინებს საჭრისი, იჩარხება ექსცენტრიკები, მილისები, კბილანები, ხრახნები, ლილვაკები. ლითონის ბურბუშელა, თითქოს თოვლის მსუბუქი ფანტელებიაო, შრიალით ეფინება იატაკს.

კარზე ახალი წელი აკაკუნებს...

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანაში მეორე ცვლამ კარგა ხანია დაამთავრა მუშაობა. კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ზურაბ გველუკაშვილმა ბიჭებს ურჩია: ამ საღამოს 3-4 საათს თუ წავიმუშავებთ, სამი წლის გეგმას შევასრულებთ, საქმე ცოტაა და მომავალი წლისათვის გადასადებად არა ღირსო.

ხარატებს ჭკუაში დაუჯდათ ნათქვამი.

ბრიგადირს გული სიხარულით აევსო: როცა ასეთი ბიჭები გყავს, ნორმები კი არა, კლდე ვერ დაგიდგება წინო, ზ. გველუკაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადაში ოთხი ხარატია. დაკვირვებულ, ავკარგიან ბრიგადირს არ შეუძლია მათში საუკეთესო გამოარჩიოს — ყველანი ერთი ყალიბისანი არიან, პატიოსანი, გამრჯე, შრომისმოყვარენი.

ზურაბმა ჩარხზე დამაგრებულ დეტალს დახედა. მილისა სარკესავით ლაპლაპებდა. მოტორი გამორთო, ზომები შეამოწმა, გამზადებული დეტალი ჩარხიდან გადმოიღო და ბრიგადის წევრებს ჩამოუარა.

მაგიდებზე გროვად ეწყო ახლად გამოჩარხული დეტალები.

— აბა დავთვალოთ!

დათვალეს, და კმაყოფილი დარჩნენ: სამი წლის გეგმა შესრულებული იყო.

ხარატები წელგამართული მიაბიჯებდნენ შინისაკენ...

• • •

ლარივით გაჭიმულ ფოლადის მაგისტრალზე გრიალით მიჰქრის სამგზავრო მატარებელი თბილისი-მახარაძე. შუაღამე გადასულია, მაგრამ ვაგონებში ბევრი მგზავრი ფხიზლობს. გამცილებელთა ბრიგადის ხელმძღვანელი პეტრე ქუზიაშვილი — ეს ბუნებით მხიარული, ენამოსწრებული კაცი — ოხუნჯობს.

— ბიძიკო, — ეუბნება იგი გაჭირვებაში ჩავარდნილ ახალგაზრდა მოქალაქეს, — ყაიმი შეაძლიე, თორემ ახალი წლიდანვე თუ წაგება დაგებედა, ცუდად წავა შენი საქმე.

პეტრე ორმოცდაათ წელს გადაცილებული მაღალი, ხმელ-ხმელი კაცია. ცხოვრების ოცი წელი მგზავრობაში გაუტარებია. მას დედამიწა არ შემოუვლია, არც უმაღლესი სასწავლებელი დაუმთავრებია. მაგრამ თუ ასე კარგად იცის ქვეყნის ავან-ჩავანი, ეს მხოლოდ ამ „სახალხო უნივერსიტეტის" — ვაგონის წყალობით. ამ ვაგონის ფანჯრებიდან უყურებს იგი ცხოვრებას და ისე კარგად უყურებს, რომ შეუძლია დაუსრულებლივ გესაუბროთ ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის მიღწევებზე.

მგზავრთა სანიმუშო მომსახურებისათვის პ. ქუზიაშვილის ბრიგადას გარდამავალი დროშა გადასცეს.

• • •

დღესასწაულია, მაგრამ ხომ შეიძლება სასწრაფო დახმარება დაგჭირდეს? აიღეთ ტელეფონის ყურმილი და აკრიფეთ ნომერი 03.

აპარატთან ზის სანდომიანი ქალი, ჰკვიანი, კეთილი თვალებით. იგი თბილისის სასწრაფო დახმარების სადგურის პასუხისმგებელი მორიგე ექიმი ნათელა ჩიტაიშვილია.

ტელეფონის აპარატი დუმს, და ექიმს უხარია. განა იმიტომ, რომ ამ სუსხიან ღამეში თბილი ოთახის მიტოვება ეზარება, არა!... ავადმყოფის დასახმარებლად, რომ იტყვიან, ცეცხლში გადავარდება. ამას კაცთმოყვარეობასთან ერთად ექიმის პროფესიული მოვალეობაც უკარნახებს. ექიმს ის უხარია, რომ მწუხარების ერთი აკორდიც არ ურევია თბილისელთა საახალწლო სიმფონიაში.

უცებ ცივად რეკავს ზარი. ყურმილში ისმის შეშფოთებული ხმა. ექიმი მისამართს ინიშნავს.

სასწრაფო დახმარების მანქანა შურდულივით მიჰქრის თბილისის ქუჩებში... სახლების განათებული ფანჯრებიდან საახალწლო მხიარულება იღვრება. ექიმი კი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად მიიჩქარის...

• • •

ასე შრომობდნენ ეს ადამიანები, როცა ჩვენ ახალი წლის დადგომას ვდღესასწაულობდით.

ა. ხუჭუა.

სოფლის თვალი

მარტის თვესავით არეული ამინდი დაიჭირა. ჯერ იყო და ქარმა თავი მოიგიჟიანა, მთელი დღე გულისგამწვრილებელი ზუზუნით ახმიანებდა გარემოს, მერე კი ისევ ქუფრი ბურუსი აიმალა ტყვიისფერ ცაზე და ბარაქიანად დაიწყო ბარდნა.

გაუკვალავ თოვლში ხრაშა-ხრუშით მიმავალ ავთანდილ ხუნჯუას ახლაღა გაახსენდა, რომ კევალიშვილების ოჯახში უნდა შეევლო.

ხევ-ხევ გასულმა ვაჟკაცმა ფეხმარდად აღია აღმართი და სოფლის ბოლოსკენ ცერად მიმავალ გზაზე გადაუხვია.

— ქსენია კევალიშვილს ციმბირიდან ნეტა ვინ უნდა უგზავნიდეს წერილს? — ფიქრობდა დაინტერესებული ავთანდილი და თან ფრთხილად სინჯავდა გულის ჯიბეში ორად მოკეცილ ბარათს.

საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ავთანდილ ხუნჯუას ეს ბარათი პარტიის რაიონულ კომიტეტში გადასცეს: ქსენია კევალიშვილის სახელზე მივიღეთ, აღმოსავლეთ ციმბირიდან არის გამოგზავნილიო.

აღმოსავლეთ ციმბირიდან არის გამოგზავნილიო? — მხრები აიჩეჩა თავმჯდომარემ.

— თუმცა ვინ იცის; — კვლავ საკუთარ თავს ესაუბრებოდა ფიქრებში გართული თავმჯდომარე, — იქნებ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთსაც მისწვდა ჩვენი თანასოფლელის სახელი. იქნებ იქაც შეიტყვეს მისი გმირობის ამბავი და ახლა წერილით უნდათ შეეხმიანონ...

გუმანი გაუმართლდა. უბის ჯიბეში გამთბარი წერილი საბჭოთა არმიის მებრძოლთა კოლექტიური ბარათი გამოდგა.

— გაზეთში წავიკითხეთ თქვენი გმირული შრომის შესახებ. 11 ტონა ჩაის მოკრეფა აქამდე წარმოუდგენელი ამბავი გვეგონა, ახლა კი გვიხარია და ვამაყობთ თქვენი მიღწევებით. ბარაქალა თქვენს ქალობას. ქება და დიდება თქვენს სასახელო გარჯა-შრომას. — ასე ამთავრებდნენ მებრძოლები თავიანთ წერილს...

მყუდროება ჩამოვარდა კევალიშვილების ოჯახში. ბუხარში ვეება კუნძს მძიმე-მძიმედ ედებოდა ცეცხლი.

სამფეხა სკამზე ჩაემუხლა ქსენიას. სხივჩამდგარი თვალებით ხელმეორედ კითხულობდა წერილს.

ბუხართან მიმჯდარ თავმჯდომარეს კი ხელებში ჩაერგო თავი და ფიქრებში წასული გასცქეროდა გარინდებულ დიასახლისს.

საოცარია, სწორედ რომ საოცარია, ამდენი ძალა და ენერგია საიდან აქვს ამ კაფანდარა ქალს... აბა ერთხელ მაინც შეავლეთ თვალი პლანტაციაში ჯარასავით მბრუნავ ქსენიას, გაიცანით მის სამაგალითო შრომასა და მაშინვე დარწმუნდებით, რომ ბევრ კუნთმაგარ ვაჟკაცსაც შეეხარბება მისი მარჯვენის მადლი და ბარაქა.

აი ეს ჩუმი, მუდამ ლინჯი და მორიდებული ქალი იმ დიდი გამარჯვების ერთ-ერთი აქტიური შემოქმედი გახლავთ, რომელმაც წელს საქვეყნოდ ასახელა ჩვენი რესპუბლიკა.

საქართველოს ხავერდოვან პლანტაციებში მოკრეფილი 140 ათასი ტონა ჩაი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეს მისწვდება. მოსკოვში და სახალინზე, ლენინის ქალაქში და რიაზანში, ვილნიუსსა და კიევში, ტამბოვში თუ შორეულ ჩრდილოეთში სიამოვნებით შესვამენ საუკეთესო არომატის ქართულ ჩაის, შესვამენ და გამრჯე მარჯვენას დაულოცავენ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან მეჩაიეებს...

— ხალხის ქება და სამადლობელი კი პირველ რიგში შენც გეკუთვნის, — თითქოს ხმამაღლა დასცდაო ნაფიქრი სიტყვაძვირ თავმჯდომარეს.

სოფლის თვალი და სიამაყე, — ასე ეძახიან ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები სახელოვან მეჩაიეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ქსენია კევალიშვილს.

ხალხის ნდობა და სიყვარული, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე მეჩაიის საპატიო სახელი იოლი გზით როდი მოუპოვებია ქსენიას.

ქართველი ქალი წლების მანძილზე გულდაგულ ებრძოდა მიწას. საქმის უანგარო სიყვარული და შრომისმოყვარეობა, დღინიადაგ სწავლა და ძიება, სიახლის გრძნობა და საყვარელი პროფესიისადმი შემოქმედებითად მიდგომა — აი ის მტკიცე წინაპირობა, რამაც რიგითი კოლმეურნე საქვეყნოდ ცნობილ შრომის გმირამდე აამაღლა...

შემოდგომის ერთ სუსხიან საღამოს სოფელს ელვასავით მოედო ახალი ამბავი: ქსენია თხოვდება, თირქიას ვაჟიშვილს ვალერიანს მიჰყვება ცოლადო.

— ფერი თქვსა. მადლი ღმერთსა. — ღიმილით ამბობდნენ ორღობეში ჩამომდგარი მოხუცები.

— ორივე სოფლის სასახელო ადამიანია, ფუძემყარ ოჯახს შექმნიან, — თანხმობის ნიშნად თავს იქნევდნენ კოლმეურნეები.

— როგორ თუ თხოვდება! — ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა ალეწილი ბრიგადირი და წამდაუწუმ სახეზე ისვამდა ხელს. — მერე და ვალერიან თირქია ხომ სოფლის ბოლოზე ცხოვრობს!..

— სოფლის ბოლოზე ცხოვრობს, ბაბუა, სოფლის ბოლოზე, — კვერს უკრავდა დიმიტრი პირტახია და ბრიგადირის გულისნადებს მიხვედრილი ეშმაკურად იღიმებოდა ულვაშებში.

— ქსენია ხომ ვალერიანთან გადავა საცხოვრებლად?.. ვეღარ ისვენებდა ბრიგადირი. დავიღუპე და ის არის!..

— რა იყო, შე კაცო, აღარ იტყვი, რაშია საქმე?

— იმან დამღუპა, ბაბუა დიმიტრი, რომ სანთლით საძებარ მეჩაიესა ვკარგავ, გესმის. სანთლით საძებარ მეჩაიეს... გადავა ქსენია ვალერიანთან, და მაშინვე მეათე ბრიგადაში ჩარიცხავენ. მე ჯავრი და ბოლმა მომიღებს ბოლოს, თვითონ კი იქნება მშვიდად...

მაგრამ არც ქსენია კევალიშვილი იყო მშვიდად. ბევრი აწონ-დაწონა ქსენიამ და ბოლოს მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მეათე ბრიგადაში გადასვლის შემდეგ ყველაზე მდარე და ნაკლებმოსავლიანი ნაკვეთი აეღო მოსავლელად.

— საქმე ის არის, მდარე ნაკვეთზე მიაღწიო წარმატებას, თორემ ნაპატივებ პლანტაციაში არც სხვას გაუჭირდება მუშაობა, — ასე განუცხადა ქსენიამ თავმჯდომარეს...

ჩვეული მონდომებითა და გატაცებით მიეძალა საქმეს ქსენია. მოსავლელად მიჩენილ ახალ ნაკვეთზე გამთენიიდან შებინდებამდე მუხლჩაუდრეკლად დატრიალებდა და წუთითაც კი აღარ აჩერებდა მარჯვენას.

ქ. კევალიშვილი.

• • •

დაკნინებულ პლანტაციას მალევე დაეტყო გამოცდილი მეჩაიის ხელი.

მთელი რაიონი გაოცებული დარჩა, როცა ქსენია კევალიშვილმა ერთ დროს სანახევროდ დაჩიავებულ პლანტაციაში 11 ტონა ჩაის მოკრეფა შეძლო.

— ესეც ცოტაა, უფრო მეტია საჭირო, — ფიქრებში წასული ამბობს ქსენია და ღიმილით განაგრძობს, — მე ჩემი „საკუთარი" შვიდწლედი მაქვს. შვიდწლედის პირველ წელს 0,8 ჰექტარზე 11 ტონა ჩაი მოვკრიფე, მომდევნო წელს 12,5 ტონის მოკრეფა მაქვს გადაწყვეტილი, შვიდწლედის ბოლოს კი 15 ტონაზე მეტ ჩაის მოვკრეფ...

ზამთრის დღეები დგას საჯიჯაოში, მაგრამ ქსენია კევალიშვილს შინ მოსაცდელად ვეღარ უდგება გული. ცისმარე დილით ლიღინ-ლიღინით მიაშურებს ხოლმე თავის პლანტაციას. ვინ იცის, კაცნი ვართ, იქნებ დღე-დღეზე გაფუჭდეს ამინდი და კვლავ თოვლით დაიფაროს გარემო. ზედმეტი ტენი კი უარყოფით გავლენას მოახდენს პლანტაციაზე. ჰოდა, ამთავითვე იჭერს თადარიგს, რომ სრულ წესრიგში ჰქონდეს სადრენაჟო არხები და წყალსაწრეტები.

პლანტაციიდან ამობრუნებული ქსენია გზის ასაქცევთან მოფუსფუსე ახალგაზრდებს შეავლებს თვალს. ჟივილ-ხივილითა და მხიარული შეძახილებით ეგებებიან მის მიერ აღზრდილი მეჩაიეები. თალიკო პაჭკორიას, გოგოშა თირქიას, თათუშა ფარაიასა თუ ცენტუშა აფშილავას ქსენია კევალიშვილის წაბაძულობით ყველაფერი უკვე წესრიგში მოუყვანიათ და ახლა გამოცდილი მეჩაიის „განაჩენს" ელოდებიან.

ქსენია კევალიშვილი ახლა სოფლის ცენტრისაკენ აიღებს გეზს. დეპუტატი ქალია ქსენია, ხალხმა ნდობა გამოუცხადა. ხალხის ნდობასა და სიყვარულს კი სამაგიერო სამსახურის გაწევა უნდა.

მისი თაოსნობითა და აქტიური მხარდაჭერით სოფელში უკვე გაიხსნა ორი ახალი მაღაზია, აგეს ოთხწლიანი სკოლის შენობა, შეაკეთეს გზები და ბოგირები. ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენ წამოწყებასა და საქმეს უდგას სათავეში სოფლის ამაგდარი ქალი...

მძიმე-მძიმედ მიაბიჯებს შარაზე სოფლის თვალი და სიამაყე, რომლის მადლიანი ხელით მოკრეფილი ჩაი თვალშეუდგამ მწვერვალებად შეიძლება დახვავდეს.

თანასოფლელთა ტკბილი ღიმილი და სიყვარულით მოელვარე თვალები აცილებს ქსენიას. ახლად აგებულ ორსართულიან ოდასახლში კი ოჯახური სითბო და მყუდროება ელოდება...

მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ახალი სურვილები და მისწრაფებები გაუღვივა. ჯერ არავისათვის გაუმხელია გულისნადები, მაგრამ უკვე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „თავისი შვიდწლედი" ხუთ წელიწადში შეასრულოს.

კვლავაც გამარჯვებით გევლოს, ხალხის სამსახურით გულანთებულო ქალო!

ო. დემეტრაშვილი.

გასული წლის ბარაქა

ჩვენი სოფელი! რამდენ ტკბილია, რამდენ ბევრის მთქმელია ეს სიტყვები. სიუხვეს და ბარაქას მიულოცავენ ერთმანეთს საბჭოთა ადამიანები, გონების თვალს გადაავლებენ განვლილი წლის ნამაგარს, შედეგებს და ეამაყებათ მოპოვებული წარმატებები. მაგრამ თავს როდი ინუგეშებენ. წინ იხედებიან, ხვალინდელი დღის ნათელ პერსპექტივებზე მსჯელობენ, სახავენ სამოქმედო პროგრამას.

სასიხარულოა ვიცოდეთ, თუ რა მოგვცა 1959 წელმა, რით გაგვახარა. ჰკითხეთ ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს, და გიპასუხებენ 140.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი სამშობლოს! ეს ხომ 33 ათასი ტონით მეტია, ვიდრე 1958 წელს იყო. თუ 1958 წელს ყოველ ჰექტარზე საშუალოდ მოკრეფილი იყო 2.500 კილოგრამი ჩაი, 1959 წელს მოიკრიფა 3.000 კილოგრამი.

ახლა ვნახოთ, რა შრომაა ამ საქმეში ჩაქსოვილი. თვითეულმა მკრეფავმა თვითეული კილოგრამი ფოთლის დამზადებისათვის 2.000 ცალი მწვანე, ლორთქო ყლორტი მოწყვიტა. საბოლოო ანგარიშით ჩვენმა მეჩაიეებმა ასობით მილიონი ცალი ყლორტი მოკრიფეს. რამდენი ჯაფა. შრომა დასჭირდებოდათ სახელგანთქმულ მკრეფავებს ტატიანა ჩხაიძეს, მარგალიტა მახარაძეს, ტატიანა ტყებუჩავას, ასმათ ჯიჯავაძეს, ქეთინა სარსანიას, თამარ ჯუჯუნიას, დარეჯან ტაკიძეს და სხვებს, რომლებიც სეზონში 8-10-15 ათას კილოგრამ ჩაის ნედლეულს კრეფენ. ეს ხომ ჩაის კრეფის მსოფლიო რეკორდია!

1959 წელმა გვასახელა აბრეშუმის პარკის, თამბაქოს წარმოების, ეთერზეთოვანი კულტურების ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულებით. უკანასკნელ წლებში სამჯერ გაიზარდა დაფნის ფოთლის წარმოება. 1959 წელს გაიყიდა ასი ათას ტონაზე მეტი კურკოვანი, თესლოვანი და ციტრუსოვანი ხილი. ალმავლობას განიცდის საზოგადოებრივი მეცხოველეობა. სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 1,7-ჯერ მეტი, რძე — თითქმის ორჯერ მეტი, კვერცხი — სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1958 წელს.



თბილისი—კამჩატკა

დილა მშვიდობისა, ახალო წელო! დილა მშვიდობისაო,—გაისმის ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხეში, ყველა ოჯახში. პირმოღიმარი ადამიანები ერთმანეთს, უპირველეს ყოვლისა, მშვიდობას უსურვებენ... მშვიდობა თუ იქნა, მეტი რა უნდა გამრჯე მარჯვენას, სხვა დანარჩენი მასზეა დამოკიდებული. იგი ქმნის სახალხო დოვლათს, ყოველივე კარგს, რაც ასე ამშვენებს, ლაზათს აძლევს, ალამაზებს მის ცხოვრებას.

წუხელ ჩვენთან დადგა ახალი წელი. უფრო ადრე იგი წყნარი ოკეანედან დაიწყო, პირველად კურილის კუნძულების მცხოვრებთ მიულოცა, შემდეგ თანდათან შემოიჭრა ჩვენს მატერიკზე, ყველა ოჯახს ეწვია სიხარულისა და ბედნიერების მეკვლედ. შემობრძანდა საქართველოში, სიკეთე, ბედნიერება, დოვლათი, მშვიდობა უსურვა ყველა ოჯახს... და როცა კრემლის კურანტებმა თორმეტჯერ ჩამოჰკრეს, მაშინ ჩვენი ქვეყნის ყველაზე შორეულ კუთხეს, კამჩატკის ნახევარკუნძულზე მდებარე ქალაქ პეტროპავლოვსკს დავუკავშირდით. ტელეფონთან პეტროპავლოვსკის საოლქო გაზეთ „კამჩატსკაია პრავდის" რედაქციაა.

თბილისი: საქართველოს რესპუბლიკური გაზეთ „კომუნისტის" ყველა მკითხველი ულოცავს კამჩატკელებს ახალ ბედნიერ წელს.

პეტროპავლოვსკი: შორეული კამჩატკიდან გადაეცით ქართველ ხალხს ჩვენი კეთილი სურვილები. ჩვენთან ახალი, 1960 წელი უკვე „მობერდა". კამჩატკელმა მშრომელებმა რახანია საახალწლო სუფრა მოათავეს კიდეც. ჩვენთან შედარებით თბილისში ახალი წელი 8 საათის შემდეგ მობრძანდებოდა. სასიხარულოა თქვენთან საუბარი, ჩვენს სუფრას ქართული ღვინო და ხილი ამშვენებდა.

თბილისი: როგორი წარმატებებით შეხვდით გაშლილი მშენებლობის შვიდწლედის მეორე წელს?

პეტროპავლოვსკი: ოლქის ყველა საწარმომ წარმატებით გაანაღდა შვიდწლედის პირველი წლის ვალდებულებანი.

თბილისი: რა გაკეთდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის?

პეტროპავლოვსკი: საკმარისია ითქვას, რომ შარშან მშრომელებს გადაეცათ 74 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. აშენდა კულტურის სახლები, კინოთეატრები, კლუბები, ბიბლიოთეკები, სტადიონები.

თბილისი: გმადლობთ, კვლავ მრავალჯერ მოგვილოცოს ერთმანეთისათვის ბედნიერი ახალი წელი, ჩვენო შორეულო მეგობრებო!

მან იდღესასწაულა 1963 წელი

დაიწყო ახალი, შვიდწლედის მეორე წელი. ასეა კალენდარის მიხედვით. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებმაც კარგა ხანია დაიყენეს ახალი წელი, ხოლო უფრო მოწინავეებმა უკვე შვიდწლედის რამდენიმე წელი იდღესასწაულეს. მათს უბის წიგნაკებში რომ ჩაიხედოთ, ნახავთ მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელ ჩანაწერებს: „1961 წლის ანგარიშში..." „1962 წლის ანგარიშში"... ამ ადამიანებმა თავიანთი შრომით გაუსწრეს დროს, თითქოს შეამცირეს კალენდარული წლები.

... საამქროს თაღის ქვეშ ნელა მოგორავს ხიდურა ამწე, სათამაშოსავით მოაქანავებს ფოლადის გვარლზე ჩამოკიდებულ თუჯის სადგარს.

— ნელა, ნელა! — შესძახის ამწის მემანქანეს ტანმორჩილი შავგვრემანი ახალგაზრდა და თან ხელით ანიშნებს, თუ საით წაიღოს ტვირთი.

—გეყოფა, დაუშვი! — ისმის ახალი ბრძანება, და ჩარხის სადგარი მსუბუქად ეშვება ბეტონის იატაკზე.

— აბა, შოთა, — მიმართა ახალგაზრდას იქვე მდგომმა საამქროს უფროსმა,— საქმე ახლა შენზეა. თვის ბოლოს მზად უნდა იყოს. ისე უნდა ააწყო, საათივით მუშაობდეს, ხომ იცი, ვისთვის ვამზადებთ.

და თითქოს საქმე უკვე გაკეთებულად ჩათვალაო, საამქროს უფროსი შებრუნდა, საამქროს მეორე კუთხისაკენ გაემართა. შოთა ფირცხალავა კი უკვე ჩარხის სადგარს დასტრიალებდა. გასინჯა მისი ყოველი კუთხე, ნაწიბური, გადაათვალიერა და გადათვალა იქვე ჩამწკრივებული დეტალები.

შოთა ფირცხალავამ კარგად იცოდა, თუ რა საპასუხისმგებლო საქმე მიანდეს. მას მარტო უნდა აეწყო სპეციალური — მაკალიბრებელი ჩარხი, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაკვეთით მზადდებოდა. ასეთი ჩარხი მხოლოდ ერთხელ, თხუთმეტიოდე წლის წინათ გაკეთდა კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანაში და, რა თქმა უნდა, ჩარხის დამზადების გამოცდილებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მიტომ იგი უნდა აეწყო საქმის ღრმად მცოდნე, გამოცდილ ზეინკალს. ასეთი ზეინკლები ქარხანაში არიან, მაგრამ არჩევანი შოთა ფირცხალავაზე შეჩერდა.

ერთი შეხედვით შეიძლება გაგიკვირდეთ კიდეც, რომ ასეთი საქმის შესრულება ამ ახალგაზრდა ზეინკალს ერგო. მაგრამ ბევრი ვერ დაიჯერებს, რომ მას უფრო მეტი დრო გაუტარებია ქარხნის სამქროებში. უკვე 17 წელია შოთა ფირცხალავა ზეინკლად მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი სპეციალური ჩარხი აუწყვია.

თერთმეტი წლისა იყო შოთა, როდესაც თავის მეგობრის ნოდარ ენუქიძის რჩევით ქარხანაში მოვიდა. პირველად ორი უბრალო დეტალის ერთმანეთზე მორგებაც კი დიდ საქმედ მიაჩნდა. რამდენჯერ უყურებია გამოცდილი ზეინკლებისათვის, რომლებიც რთულ ჩარხებს აწყობდნენ, უფიქრია, როდის იქნება, რომ ასეთ სამუშაოს მეც მომანდობენო.

გადიოდა წლები, ვაჟკაცდებოდა ახალგაზრდა ზეინკალი, იძენდა გამოცდილებას, ოსტატდებოდა. მალე მას უკვე საძნელო საქმედ აღარ მიაჩნდა რომელიმე კვანძის, ან მთელი ჩარხის აწყობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიხარულო მიღწევებით აღინიშნა მისთვის შვიდწლედის პირველი წელი. კარგად ახსოვს შოთას ის დღე, როდესაც მას ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

და განა მარტო ეს დღე არის ღირსსახსოვარი! არანაკლებ სასიხარულო იყო მისთვის 14 ოქტომბერი, როდესაც მან სიამაყით აღნიშნა უბის წიგნაკში— „განაღდებულია შვიდწლედის პირველი 3 წლის დავალება!" ამის შემდეგ ზეინკალი უკვე 1962 წლის ანგარიშში მუშაობს. 1962 წლის ანგარიშში აწყობდა იგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის განკუთვნილ ჩარხსაც.

დეკემბრის ბოლო დღეები იყო, როდესაც ზეინკალმა უკანასკნელი ჰანჩიკი დაამაგრა ახალ ჩარხზე, რამდენჯერმე დაკვირვებით შეამოწმა ყველა კვანძი და ჩასართავ ღილაკს დააჭირა თითი. ჩარხმა უხმაუროდ დაიწყო მუშაობა.

გამარჯვებით დაამთავრა ახალგაზრდა ზეინკალმა შვიდწლედის პირველი წელი. მაგრამ იგი უფრო დიდ წარმატებას ესწრაფვის, შოთას გადაწყვეტილი აქვს შვიდწლედის მეორე წელს განაღდოს შვიდწლედის დავალება.

ვინც მას იცნობს, სჯერა, რომ ზეინკალი სიტყვას შეასრულებს, დროს უკან მოიტოვებს.

შ. ცირეკიძე.

ამას გვპირდება შვიდწლედის მეორე წელი

◆ წინა წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზრდება ასობით მილიონი მანეთით.

◆ აშენდება 24 ახალი საწარმო და რეკონსტრუქცია გაუკეთდება 33 საწარმოს.

◆ თბილისში დაიწყება დიდი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც იმუშავებს ყარადაღის ბუნებრივ გაზზე.

◆ ჩვენს რესპუბლიკაში მწყობრში ჩადგება მარგანეცის ახალი მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკები.

◆ სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა რიცხვს მიემატება ტყიბულის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა.

◆ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მიიღებენ 280 ათას კვადრატულ მეტრ ახალ საცხოვრებელ ფართობს.

◆ საქალაქო ავტომატური სატელეფონო სადგურების სიმძლავრეები გაიზრდება 11.500 ნომრით.

◆ დამთავრდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 3 ახალი ჩაის ფაბრიკა.

◆ ახალი კვალიფიციური კადრებით შეივსება ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასის რიგები. ფაბრიკა-ქარხნებში გაიგზავნება დაახლოებით 15 ათასი ახალგაზრდა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური სკოლები.

მეგობრები გვილოცავენ

«კომუნისტის» მკითხველებს

მართალი რომ ითქვას, არც მიყვარს და არც არასოდეს დამიწერია ორსიტყვიანი საახალწლო მილოცვა. მკითხველს ამით ვერ გააკვირვებ, მას უფრო საკითხავი მასალა უყვარს და მართალიც არის. თუმცა სულ არც უამისობა ივარგებდა, მით უმეტეს, რომ საქართველოსთან ბევრი რამ დაუვიწყარი მაკავშირებს... დიდი საახალწლო წერილები შემიკვეთეს „იზვესტიამ" და „ლიტერატურნაია გაზეტამ", ასე რომ მესამე დიდი წერილის დაწერას ვეღარც კი მოვასწრებდი, მაგრამ, როგორც ქართველები იტყვიან, კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების.

ბედნიერი იყოს, ქართველო მეგობრებო, 1960 წელი, მშვიდობიანი და უხვმოსავლიანი.

სულ სიხარული და სიყვარული დაგეკვებოთ.

ზღვად გამსკდარიყოს თქვენს მადლიან მიწაში ჩაგდებული ყოველი მარცვალი!

ილია ერენბურგი.

* * *

გულითადად ვულოცავ გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს 1960 წელს. ვუსურვებ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მზიური რესპუბლიკის მშრომელებს ახალ მიღწევებსა და გამარჯვებებს.

თქვენთან ერთად ვსვამ საახალწლო სადღეგრძელოს, ქართველო მეგობრებო!

ანდრია ტუპოლევი,

აკადემიკოსი, გენერალური კონსტრუქტორი.

* * *

ქართველო დებო! დაესწარით მრავალ ახალ წელს.

შარშან ჩვენმა ხალხმა დიდი წარმატებები მოიპოვა შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. გასულმა წელმა დიდი სიხარული მომიტანა პირადად მეც. ჩემს თაოსნობას ჩამორჩენილთა დაწინაურებისათვის მოძრაობის გაჩაღების შესახებ ყველგან მხურვალედ დაუჭირეს მხარი. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყავით თქვენ, გორელი ფეიქრები. პარტიამ და მთავრობამ დააფასეს ჩემი შრომა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს.

შარშან ჩემთვის კიდევ ერთი დიდი სიხარული იყოს ის, რომ თქვენი სახით გულითადი მეგობრები შევიძინე მზიურ საქართველოში.

მიიღეთ ვიშნივოლოჩეკელი ფეიქრების გულითადი საახალწლო სურვილები.

ვალენტინა გაგანოვა.

ახალწლის შეხვედრა

ვარლამ ჟურული

მოდის ქუჩებში ანთებული ნაძვის ხეებით,
როცა საათი თორმეტისკენ ისარს გადასწევს,
მოდის ლხინით და მომავალი ტკბილი დღეებით,
სადაც მთვარეც კი ბაირაღით ხვდება ახალ წელს.

გული გავუხსნათ, გამოვცალოთ სავსე ჭიქები,
ავუწკრიალოთ მამაპაპურ ჩონგურს ლარები.
ყველგან გვახსოვდეს, მეგობარო, სადაც ვიქნებით,
სამშობლო ჩვენი — აკვნიდანვე შენაყვარები.

ვიცი, დილამდე ილულუნებს ბუხარში რცხილა,
ხელიდან ხელში იტრიალებს ჯამი ქართული,
აცეკვდებიან ქალ-ვაჟები ერთად, წყვილ-წყვილად,
ლხენით იცეკვებს ბერიკაციც წელგამართული.

გამოიღვიძებს ტაშის ხმაზე ფუნთუშა ბავშვი,
იტყვის: დედიკო, ამაყენე, ვიცეკვო მინდა!

რამდენი სითბო, სინაზეა მის ალალ თქმაში,
რამდენ სიამეს გაგრძნობინებთ ღიმილი წმინდა.

თვითონ მიიწევს დასალევად ტუჩთან სასმისი,
როცა მშობლების დალოცვაზე მიდგება ჯერი.
მრავალჟამიერს წამოიწყებს დიასახლისი,
ბანის სათქმელად აიტაცებს სიმღერას ჭერი.

როცა წარმოვთქვამთ სადიდებელს ქვეყნის ვარდობის,
ჩვენი ოცნების, ნატვრისა და ფრთების გაშლისას,
კედლებს შეარხევს ხმა მგზნებარე ახალგაზრდობის:
„ბერიკაცი ვარ", ან „ჩავუხტეთ ბარათაშვილსა"!

ბოლოს ჯიხვის რქას მოიმარჯვებს დინჯი თამადა,
სულმოუთქმელად ადღეგრძელებს მშვიდობას ხალხთა.
ლხინში შემოვა განთიადი თავისთავადა,
სტუმრებს ჟივილით შეხვდებიან ჩიტები ხალხთან.

შენ რაღას იტყვი, ჭოროხო!

ვზივარ კირნათის სასოფლო საბჭოს ღია სარკმელთან, იდაყვებზე თავი მაქვს დაყრდნობილი და გავცქერი ჭოროხის მარცხენა ნაპირს.

გავცქერი, თორემ ძალიან შორი კია! — ჩემი პაპიროსის ბოლს ხედავენ ალბათ იქიდან. ოჩოფეხაზე შემდგარი სათვალთვალო ჯიხურიდან იქნებ ასკერი ჭოგრიტით მიყურებს და ამჩნევს ფიქრებისაგან დაღარულ ჩემს სახეს. საფიქრელი კი ცოტაა? — ასე მგონია აკლდამის წინ ვდგევარ. ცივ და იდუმალ აკლდამასთან მდგომს კი ძალიან მძიმე განცდები გეუფლება ხოლმე. ერთი წამით რომ წარმოვიდგენ — ჩემი გულის საყვარელი იქ, გაღმა, ვთქვათ, იმ სახლის აივანზე მეგულებოდეს, — ციებიანივით მაჟრჟოლებს. აქედან ხაბაროვსკი უფრო ახლოა, ვიდრე გაღმა ის სახლი. და რის სული უდგას კირნათელს, როცა ძმა გაღმა ეგულება!

საოცარია საზღვრის ამბავი საერთოდ: გაივლი ნეიტრალურ სარტყელს, და გათავდა ერთი ქვეყანა, დაიწყო მეორე — სხვა ერის სამფლობელო, შემოგესმა სხვა ენა...

ასეთი ჯადოსნური გამყოფი ძალა აქვს ამ ვიწრო ზოლს — საზღვარს.

მაგრამ ჭოროხი რომ გადაიარო და გაღმა სოფელში გახვიდე, იმავე ენას გაიგონებ, რასაც კირნათში და მარადიდში — ქართულს. და მძიმედ დამაფიქრებელიც ეს არის — ორ ძმას შუა ღობეც არ გაივლება და აქ კი ასეთი გაყოფა! ბედის უკუღმართობა ამაზე შორს წავა? ჩამდგარა თურქი ორ ქართველ ძმას შორის და ერთმანეთთან არ უშვებს.

ჭოროხი არა მგონია თურქეთის მთებიდან იღებდეს სათავეს. შეიძლება ქართველი დედების თვალთაგან?!.

არის ადამიანში სულიერი განცდების ისეთი კუნჭული, რომელშიც ძნელია სხვისი ხელის ფათური. ამ განცდების გაღვივება ვულკანის ამოხეთქვას უდრის.

მაპატიე, მოხუცო ალი! — შენ ისეთი მხიარული, კმაყოფილი, ისეთი ყოჩაღი შემოხვედი საბჭოს ოთახში. ბიჭებს ახარე, რომ კიდევ ერთი სახლის გადახურვა დაგიმთავრებია, შენ ისეთი კარგი ოსტატი ყოფილხარ...

შენი საკოლმეურნეო სოფელი ნელ-ნელა გროვდება საბჭოს ეზოში. კირნათელებს დიდი ლაშქრობა აქვთ, და სასიხარულო ამბები მოაქვთ ფრონტიდან. ეს მშვიდობის ლაშქრობაა, შვიდწლედის მეორე წლის ჩაის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობა. ჭოროხს გამოღმა ფრონტია (საკოლმეურნეო დოვლათისათვის ბრძოლისა. წელს შენც იზეიმე მშობლიური საქართველოს ახალი დიდება — ასორმოცი ათასი ტონა მწვანე ოქროს — ჩაის მიღება. შენს დიდ ოჯახსაც ერგო მთავრობის მადლობა ამ გამარჯვებისათვის.

მაგრამ კირნათელებს წლევანდელი წარმატება ეცოტავებათ. ამ ზამთარშივე უყრიან საფუძველს შვიდწლედის მეორე წლის ჩაის უხვ მოსავალს. შენი მეზობლები ბარავენ პლანტაციებს, შეაქვთ სასუქი, თესავენ ჩაის, გამოჰყავთ ნერგები. შენს კოლმეურნეობას წელს მარტო ჩაიმ მისცა მილიონამდე მანეთი შემოსავალი, თითქმის ამდენივე — თამბაქომ და სხვა კულტურებმა.

ჭოროხის თვალწარმტაც ხეობაში, ბათუმიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით, ჰყვავის შენი საკოლმეურნეო სოფელი კირნათი — მშვენივრად მოწყობილი ცენტრით, შეძლებული და კულტურული მოსახლეობით, ლამაზი ქართული ოდებით, სკოლით და კლუბით, მაჭახელაძესის შუქით, ჩაით და თამბაქოთი, ვენახით და ხეხილით. დაფნაც უხვად მოდის. და შენი სოფლის ლამაზი გოგო-ბიჭები ხალისიანი სიცილ-კისკისით ყოველწლიურად გამარჯვებისა და ზეიმის სიმბოლოდ ამ ქართული მიწის დაფნის გვირგვინს უწნავენ ბედნიერ საბჭოთა კირნათს...

...მე კი შევეხე შენს მივიწყებულ მძიმე განცდებს და გკითხე — ხომ არ გახსოვს, ვისია აი ის სახლები, ამ სარკმლიდან რომ მოჩანს, ასკერის სათვალთვალო ჯიხურის გარშემო მთაზე რომ არის შეფენილი-მეთქი!

— ეჰ, რათ გინდა! — დიდი ხნის დუმილის შემდეგ მიპასუხებ სახეალეწილი და თავს ღუნავ ჯოხზე დაყრდნობილი.

— გეკითხება, ძია ალი, სტუმარი, — არ გეშვებიან თანასოფლელები.

თავს მაღლა არ სწევ. კვლავ სდუმხარ. მერე ნელი, აკანკალებული ხმით ჩაიბუტბუტებ მოძმეთა გვარებს, და ბოლოს უმატებ:

—იქით, უფრო შორს, დარჩა ჩემი ძმის სახლი და მშობლების საფლავი. ცოცხალია, მგონი, ძმისშვილი... ვუყურებ აქედან ჩემი ბებრული თვალებით, მაგრამ რას გავარჩევ!..

მგონი სტირი — ნიკაპი გითრთის. ყველანი ვდუმვართ. დამშვიდდი. აღარაფერს შეგეკითხებით.

...გაღმა მთები ბურუსში ეხვევა. ღამდება. სიტყვა ეძლევა ჭოროხს — ახლა უფრო გარკვევით ისმის მისი შხუილი. რა ამბები მოგაქვს, ჭოროხო, გაღმელი ქართველებისაგან?

აქეთ ლამპიონები ენთება.

ახალი წლის წინა ღამეა. ხმამაღლამოლაპარაკე რადიო ჩართულია. სიმღერა აღწევს გაღმელებამდე. მათ სიბნელეში მაინც დართავენ ალბათ ნებას კარში გამოვიდნენ.

ვლადიმერ თორდუა.

ღია გულით...

კაცობრიობა XX საუკუნის სამოციან წლებში შედის. წლების შეცვლა ადამიანებს ჩვეულებრივ ფილოსოფიურად განაწყობს. ისინი გონების თვალს გადაავლებენ ხოლმე განვლილ გზას და ცდილობენ ჩაიხედონ მომავალში: რას უმზადებს მათ მომავალი დღე?

1959 წლის წინ ამერიკის ჟურნალი „ნეიშნი" წერდა:

„ცივილიზაციას ცუდად ხძინავს, ჩალაგებული ჩემოდნები გამზადებული აქვს და მზად არის ყოველ წუთს წავიდეს გამოქვაბულებში ან ნანგრევებად იქცეს".

ჩვენ არ ვიცით, რა დაწერა ამავე ჟურნალმა 1960 წლის წინ, მაგრამ სავსებით გარკვეულად ვიცით, რომ ცივილიზაციის ძილი ახლა გაცილებით უფრო მშვიდი შეიქნა, ადამიანებმა თავიანთი ჩემოდნები კვლავ დაცალეს და თუ სადმე აპირებენ წასვლას, არა გამოქვაბულებში, არამედ ახალი წლის შესახვედრად.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს იმით, რომ ეს ცვლილებები უმთავრესად შედეგია მისი მთავრობის აქტიური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისა. საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო წვლილს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში ახლა ჩვენი მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებენ.

„მთელ მსოფლიოში საზოგადოებრივი აზრი კეთილსასურველად ეხმაურება საბჭოთა დიპლომატიის ღონისძიებებს", — წერს ფრანგული გაზეთი „კომბა". ხოლო აი საინტერესო შედეგები, რომლებამდეც მივიდა საზოგადოებრივი აზრის განთქმული ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში უდგას ამერიკელი სოციოლოგი ჰელაპი. ინსტიტუტმა მოაწყო გამოკითხვა თემაზე: „ვინ უფრო მეტს აკეთებს მშვიდობის საქმისათვის — რუსეთი თუ დასავლეთი"? გამოკითხულთა 54 პროცენტმა დაასახელა რუსეთი, 18 პროცენტმა — დასავლეთი, 28 პროცენტმა თავი შეიკავა. „პატივისცემის ყველა ბარომეტრი გვიჩვენებს, რომ ამერიკის პრესტიჟი ეცემა, ხოლო საბჭოთა პრესტიჟი იზრდება", — აკეთებს დასკვნას ჰელაპი.

ბოლოს, თავს ნებას მივცემთ დავიმოწმოთ ცნობილი ამერიკელი საგარეოპოლიტიკური მიმომხილველი დანიელი, რომელიც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" წერს, რომ „საბჭოთა კავშირი კეთილ ნებასა და მეგობრობას თესავს უფრო სწრაფად, ვიდრე დასავლეთ სამყაროს შეუძლია აღიქვას ისინი... დიპლომატიური ინიციატივა მოსკოვის ხელშია".

რაც მართალია, მართალია — მთელი 1959 წლის განმავლობაში, პირველიდან უკანასკნელ დღემდე დიპლომატიური ინიციატივა მუდამ იყო მოსკოვის საიმედო ხელში, რომელსაც მთელი მსოფლიოს ხალხებმა სამართლიანად უწოდეს მშვიდობის მქადაგებელი.

ჭეშმარიტად სიმბოლურია, რომ გასული წელი დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXI ყრილობით, რომელმაც სტარტი მისცა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას და რომელმაც მთელ მსოფლიოს მიმართა მოწოდებით განახორციელოს მშვიდობიანი თანაარსებობის დიადი და კეთილშობილური პრინციპები. ჭეშმარიტად სიმბოლურია ისიც, რომ გასული წელი დამთავრდა ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული ვიზიტით ოკეანეს გაღმა, ვიზიტით, რომელმაც დასაბამი მისცა კეთილმყოფელ დათბობას საერთაშორისო ურთიერთობაში, დიდი ხნის ნანატრ ყინულის ლხობას „ცივი ომის" მდინარეებზე.

ჩვენ შევდივართ მოლაპარაკების ფაზაში, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. სწორედ მოლაპარაკების ნიშნით ჩაივლის ახალი, 1960 წელი. როგორც აღიარებს ამერიკის გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი", „ამჟამად ერთი სიტყვა დგას სხვა სიტყვებზე მაღლა — მოლაპარაკება". ეს სიტყვა ჩვენ როდი გამოგვიგონია, როგორც, მაგალითად, სიტყვები „მემთვარია" ან „თანამგზავრი", მაგრამ ისინი განა თვითეულს პირზე ეკერებოდა, რომ არ იყოს საბჭოთა კავშირის მტკიცე ღონისძიებანი, რომელიც ცდილობს მრგვალ მაგიდას შემოუსხას აღმოსავლეთისა და დასავლეთის წარმომადგენლები თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების გადასაწყვეტად?!

ოდესღაც ამერიკის შეერთებული შტატების განსვენებულმა სახელმწიფო მდივანმა ჯონ ფოსტერ დალესმა უმაღლეს დონეზე თათბირის იდეას უწოდა „მხოლოდ ოცნება, რომელიც განუხორციელებელი სურვილებით არის შემკობილი". ამჟამად ამ ოცნებით შემკობილია საახალწლო ნაძვისხეები ყოველ პარალელსა და მერიდიანზე, რომელთა ბადეში საბავშვო ბურთის მსგავსად ჰკიდია ჩვენი პლანეტა. მაგრამ ოცნება, რომელიც ასეულ მილიონობით ადამიანის ფიქრებს დაუფლებია, ეს უკვე განუხორციელებელი სურვილი კი არ არის, არამედ რეალობაა, რომელიც ცხოვრებაში ხორციელდება.

ერთ-ერთ თავის პრეს-კონფერენციაზე კრემლში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა უცხოელი კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რაში მდგომარეობს უმაღლეს დონეზე შეხვედრის მაგია, უპასუხა: ეს მაგია მდგომარეობს ხალხთა მისწრაფებაში მშვიდობისადმი. როგორც ვხედავთ, მომავალი 1960 წელი გვიჩვენებს, რომ მართალი იყო ხრუშჩოვი და არა დალესი.

თავად მეტერნიხს, ავსტრიის კანცლერს და გასული საუკუნის დიპლომატიურ წინასწარმეტყველს, უყვარდა გამეორება: „პოლიტიკა ჰგავს მრავალაქტიან პიესას, რომელიც რაკი ფარდა ახდილია, გარდუვალად ვითარდება. მაშინ იმის გამოცხადება, პიესა აღარ გაგრძელდებაო — სისულელეა. პიესა გაგრძელდება ან მსახიობების მონაწილეობით, ან მაყურებლების მონაწილეობით, რომლებიც თვითონ აიჭრებიან სცენაზე..." ჩვენს დროში ისტორიულ სცენაზე გამოდიან უბრალო ადამიანთა მრავალმილიონიანი მასები, რომლებიც გამსჭვალული არიან მგზნებარე მისწრაფებით მშვიდობისადმი, ჩვენს დროში მშვიდობის სადარაჯოზე დგას სოციალისტური ქვეყნების მძლავრი, უძლეველი ბანაკი, რომელსაც სათავეში საბჭოთა კავშირი უდგას. სწორედ ამ ძალებმა ახადეს გასულ 1959 წელს ფარდა დიდი პიესისა, რომელიც გამსჭვალულია „კემპ დევიდის სულისკვეთებით", და ახირებული, უფრო მეტიც, უაზრო იქნება მისი მზარდი განვითარების შეკავების ცდა.

მართალია, მეტერნიხის ზოგიერთ თანამედროვე მიმდევარს ცუდად შეუთვისებია მისი იგავი პიესისა და მაყურებლების შესახებ. პიესა ეს არის დაიწყო, ისინი კი უკვე ცდილობენ ფარდა ჩამოუშვან. „უოლ-სტრიტ ჯორნელის" მოწმობით, სცენის ერთ-ერთმა ასეთმა მუშაკმა — დასავლეთელმა დიპლომატმა, რომელმაც არ ისურვა თავისი გვარი ეთქვა, განაცხადა, რომ საჭიროა ნეიტრალიზებულ იქნას გავლენა იმ ენთუზიაზმისა მაღალ დონეზე მოლაპარაკების მიმართ, რომელსაც ახლა მსოფლიოში ვხედავთ. „ჩვენ თავი უნდა მოვკვეთოთ ურჩხულს, — თქვა მან, — იგი უეცრად გამოჩნდება ხოლმე მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში". მშვიდობისადმი უბრალო ადამიანის მისწრაფების შედარება ურჩხულის თავთან ამ დიპლომატის სინდისზე მივატოვოთ. მაგრამ ამ მისწრაფებისათვის თავის მოკვეთა არ შეიძლება და დაე მომავალმა, 1960 წელმა სინათლე შეიტანოს იმათ თავებში, ვისაც მისთვის თავის მოკვეთა სურს.

ანგლოსაქსური მილიტარიზმის ცნობილი იდეოლოგი უილიამ ჯონსი თავის წიგნში „ომის მორალური ეკვივალენტი" წერს: „მილიტარიზმი გამბედაობის ჩვენი იდეალების უდიდესი დამცველია, ხოლო ადამიანის სიცოცხლე, რომელშიც გამბედაობა საჭირო არ არის, ზიზღის ღირსი იქნება. თუ არ იქნა რისკი და არ იქნა ჯილდო შემმართებლისათვის, ისტორია მართლაც უფერული გახდება... თუმცა ბუნებასთან ბრძოლა ზოგჯერ მკაცრია ხოლმე, მაგრამ ვერ დავიჯერებთ, რომ მას შეუძლია სრული სამსახურის გაწევა იმისათვის, რომ ცხლად ამოძრაოს ჩვენს ძარღვებში ალისფერი სისხლი და აწარმოოს ადრენალინი, რომელიც ჩვენს ცოცხალ გონებასა და მებრძოლ სხეულს აკავშირებს".

რა თქმა უნდა, გამბედაობას მოკლებული ადამიანის სიცოცხლე ზიზღის ღირსია, ხოლო ისტორია — უფერულია. მაგრამ ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ უგუნური, რომელიც წყალბადის ბომბს იქნევს, — ადამიანთა იდეალების უდიდესი დამცველია? არა, არ შეიძლება ალისფერი სისხლის ცხლად დინება ადამიანის ძარღვებში, როცა მას ჰყინავენ „ცივი ომის" სუნთქვით. ბუნებასთან მკაცრი ბრძოლა იმის ღირსია, რომ სავსებით დაეუფლოს ადამიანის ცოცხალ გონებას და მებრძოლ სხეულს. კოსმოსის სივრცეები და ატომგულის სიღრმეები, თერმოატომგულის რეაქციის ხანმოკლე არსებობა და ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება — განა ბრძოლა ამ ასპარეზზე უფრო წარმტაცი. აღარ ვამბობ, უფრო კეთილშობილური არ არის, ვიდრე ომი სრული განადგურებისათვის?

სწორედ ასეთი ბრძოლით იყო აღსავსე 1959 წელი საბჭოთა ხალხისათვის. ჩვენ იმიტომაც მოვახერხეთ პირველებს გადაგვეღო მთვარის მეორე მხარე, რომ სტიქიის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის მეორე მხარეა ჩვენი ბრძოლა მშვიდობისათვის.

1959 წელი ისტორიაში შევა როგორც წელი, როდესაც, როგორც იყო, მკვდარი წერტილიდან დაიძრა განიარაღების პრობლემა, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ისტორიული რეზოლუცია საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. და ამ კეთილშობილურ საქმეში თვალსაჩინო როლი ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ შეასრულა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია ხომ შედეგი იყო საბჭოთა მთავრობის დეკლარაციისა, რომელმაც ყველა სახელმწიფოს მოუწოდა მახვილისაგან სახნისი გამოსჭედონ. განა საგულისხმო არ არის, რომ 1959 წელს, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა, ცათამბჯენი ლეიკსექსესში (ნიუ-იორკი), სადაც მოთავსებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინა, დაამშვენა ცნობილი მოქანდაკის ე. ვუჩეტიჩის ქანდაკებამ „გამოვჭედოთ მახვილისაგან სახნისი", რომელიც საბჭოთა მთავრობამ საჩუქრად მიუძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ამიერიდან და სამარადისოდ ეს ქანდაკება ყველას მოაგონებს იმ ძვირფას წვლილს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ შეიტანა და კვლავაც შეაქვს თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის — განიარაღების პრობლემის გადაჭრის საქმეში.

გასულ 1959 წელს მიღებულ იქნა კიდევ ორი კარგი გადაწყვეტილება, რომელთა სათავესთან კვლავ ვხედავთ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას: ნიუ-იორკში გენერალურ ასამბლეაზე — გადაწყვეტილება კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ და ვაშინგტონში — ანტარქტიკის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ. დაე ახალი 1960 წელი გახდეს ამ გადაწყვეტილებათა ნაყოფიერი განხორციელების წელი. გონების თვალით ვხედავთ მომავალს, და იმდროინდელ ადამიანს, რომელიც სამუშაოდან სახლში დაბრუნებისას შესასვლელში ჩამოიბერტყავს კოსტიუმიდან კოსმოსურ მტვერს და ულვაშებზე მოიცილის ანტარქტიკულ ყინულს. მაგრამ ეს ფანტასტიკური სურათი მომავლის ადამიანის სახლის შესასვლელში რეალური რომ გახდეს, საჭიროა, რომ აწმყოს ადამიანმა თავის ფერხთაგან ჩამოიბერტყოს რადიაქტიური მტვერი და ტვინიდან მოიცილოს „ცივი ომის" ყინული.

ერთხელ ამერიკის კონგრესში გამოსვლის დროს სენატორმა მორზემ განაცხადა: „საერთოდ რატომ ხდება, რომ ჩვენს პოლიტიკას, კერძოდ ჩვენს საგარეო პოლიტიკას, აყალიბებს ნიღბიანი კაცი"?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის. ჯერ-ერთი, ნიღაბი ამ ადამიანს იმისათვის სჭირდება, რომ ხალხის თვალს დაუმალოს მის მიერ წარმოებული პოლიტიკის ნამდვილი მიზნები, ხოლო, მეორე, თავიდან აიცილოს სამართლიანი საზღაური, თუ ეს მიზნები გამოიწვევენ გადაუჭრელ კონფლიქტს უბრალო ადამიანების ფიქრებთან და იმედებთან.

აი რატომ არის, რომ ჩვენი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა ახალ 1960 წელს ხვდება ღია და ნათელი სახით, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებათა შარავანდედით მოსილი..

მელორ სტურუა.



მწყემსი ნ. გოგიაძე ჯერ უულვაშო ჭაბუკია. მთაში დარწეულა მისი აკვანი. ულამაზესი ბუნების წიაღში იზრდება, ადრე აულია კომბალი და ცხვრის ფარების მწყემსობა აურჩევია. მუშაობს ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში.

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

საკდესის განცხადება

1959 წლის 28 დეკემბერს 14 საათსა ა 35 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოა ჰიდროგრაფიული სამსახურის გემმა უნგომ“, რომელიც აღმოსავლეთ კოეის ყურეში იმყოფებოდა ჩრდილოეთ ანედის 39 07 და აღმოსავლეთ გრძეის 128 35 რაიონში (30 მილზე კოეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბიკის სანაპიროდან და 36 მილზე სამეთ კორეის ჩრდილო-აღმოსავლეთი აზღვრებიდან), განიცადა შეიარაღებუი თავდასხმა სამხრეთ კორეის დიდი ონადირის ტიპის სამხედრო ხომალდისა, ომლის ქიმის ნომერია 205.

გაშლილ ზღვაში შეუიარაღებელი საბოთა ხომალდისათვის ავაზაკურად სროის ატეხის შედეგად ეკიპაჟის წევრთა ორის არის ადამიანის მსხვერპლი, ხოო გემი სერიოზულად დაზიანდა. ჩადინა რა ეს თავდასხმა, სამხრეთ კორეის ამხედრო ხომალდი, აგრეთვე იმავე ტიის ორი სხვა სამხედრო ხომალდი, რომებიც რამდენადმე დაშორებული იყვნენ ავდამსხმელისაგან, სამხრეთ კორეისაენ წავიდნენ.

მშვიდობიან საბჭოთა გემზე სამხრეთ ორეის სამხედრო ხომალდის არაპროოცირებული თავდასხმა წარმოადგენს აშლილ ზღვაში მეკობრეობის ტიპიურ ქტს. იგი ცხადყოფს, რომ სამხრეთ კოეის ხელისუფალნი ხელმძღვანელობენ რა იმ მისწრაფებით, რომ ვითარება ორეულ აღმოსავლეთში ნორმალური ახდეს, არამედ სხვა, მშვიდობის საქმიადმი მტრული ინტერესებით. ამასთან რთად ეს თავხედური თავდასხმა საბოთა გემზე მოწმობს, როგორც ჩანს, ომ სამხრეთ კორეის ხელისუფალთ არა ქვთ რეალობისა და მათ მიერ ჩადენილი ოქმედებისათვის პასუხისმგებლობის რავითარი გრძნობა.

საკდესს დავალებული აქვს განაცხაოს, რომ მთელი პასუხისმგებლობა გალილ ზღვაში საბჭოთა მშვიდობიან ემზე შეიარაღებული თავდასხმისათვის კისრებათ სამხრეთ კორეის ხელისუალთ, და გააფრთხილოს, რომ ამიერიან ასეთი პროვოკაციების მიმართ იმ ომალდების მხრივ, რომლებიც მეკობულ მოქმედებას მიმართავენ, მიღებულ ქნება სათანადო ღონისძიებანი, მოსპოის ჩათვლითაც კი, საერთაშორისო საართლის საყოველთაოდ აღიარებული ორმების შესაბამისად, რომლებიც ყვეა სახელმწიფოს ავალებენ მიიღონ ღოისძიებანი გაშლილ ზღვაში მეკობრეოის მოსასპობად.

მეტად მშვენიერი სანახავია! —

ამბობს ბელგიის დედაქალაქი

ბრიუსელი, 29 დეკემბერი. (საკდესი). ბელგიაში [illegible] სი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს ხალხ[illegible]ვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონც[illegible]

ბელგიის საზოგადოება მეტად გულთბილად ხვ[illegible] თველ მსახიობთა გამოსვლებს. ანსამბლის კონცერ[illegible] ლეთები მის ჩამოსვლამდე დიდი ხნით ადრე გაიყიდ[illegible]

ადგილობრივი გაზეთები მაღალ შეფასებას აძლ[illegible] თული ანსამბლის მსახიობებს.

„ქართული ცეკვები, — წერს „დრაპო რუჟი“, — [illegible] ერთადერთი თავისებური რამ, მეტად მშვენიერი [illegible] რაც ერთსა და იმავე დროს გხიბლავს და აღგაგზნებ[illegible] ათი ოსტატობის კოლექტიური შემოქმედება ეხამებ[illegible] ეული მოცეკვავის დიდ ინდივიდუალურ თვისებებ[illegible] ბლის გამოსვლა კვლავ მოწმობს საბჭოთა კავშირის [illegible] მრავალფეროვან ხელოვნებას“.

„კანონიერი ცნობისმოყვარეობით, — წერს კათ[illegible] გაზეთი „სიტე“, — მოელოდნენ ბელგიაში ქართულ[illegible] ბლის გამოსვლებს, რომელზეც ესოდენ ბევრს ლაპა[illegible] და მართლაც, იმედი არავის არ გაცრუებია. ისინი [illegible] ნენ შორეული საქართველოდან და მაყურებლები მ[illegible] თავიანთი მაღალი ოსტატობით.

ძნელი სათქმელია, თუ რით უფრო სახიამოვ[illegible] ტკბობა: მამაკაცთა აკრობატული პირუეტებით თ[illegible] ნაზი და ოდნავ იდუმალი გრაციით.

რუსული აღმოსავლეთის მთელი თილისმობა და [illegible] ლობა წარმოდგენილი იყო ჩვენს წინაშე ამ მკაფიო [illegible] ლში, სადაც სიმსუბუქე და სიჩქარე ენაცვლებოდა [illegible] რესა და ნატიფ მოძრაობას“.

ანსამბლის გასტროლები ბელგიის სხვადასხვა ქალაქში 7 იანვრამდე გაგრძელდება.

საბჭოთა მუსიკოსები გაფრინდნენ ამერიკაში

30 დეკემბერს მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაფრინ[illegible]თა მუსიკოსების დიდი ჯგუფი, რომლებიც გამართავენ ორითვის საგასტროლო მოგზაურობას ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ქალაქებში. ჯგუფის შემადგენლობაში არიან დირიჟორები კ. ივანოვი და კ. კონდრაშინი, პიანისტი ე. გილელსი, ვიოლონჩელისტი დ. შაფრანი, მომღერალი გ. ვიშნევსკაია, სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობები — სულ 87 კაცი. შემდეგში მათ შეუერთდება მევიოლინე ვ. კლიმოვი.

მეორე ჯგუფი 38 კაცის შემადგენლობით გაფრინდა 31 დეკემბერს. 3 იანვარს სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი პირველ კონცერტს გამართავს ნიუ-იორკის უდიდეს დარბაზში „კარნეგი-ჰოლში“.

მშვენიერო ნაძვის ხეო!

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

წლები და ჭადრაკი

სალო ფლორი

1959 წელი უიმედო ცაიტნოტშია. სადაც არის დაეცემა მისი ალამი და გათავდება — იგი ისტორიის კუთვნილება გახდება.

საბჭოთა მოჭადრაკეებს საფუძველი არა აქვთ ემდურონ გასულ წელს: არა, წარმატებითი, კარგი იყო 1959 წელი.

1959 წლის საჭადრაკო სეზონი დაიწყო შესანიშნავად მოწყობილი საჭადრაკო პარადით თბილისის რუსთაველის თეატრში. ამ დიდ, ამაღელვებელ საჭადრაკო ბრძოლას რუსთაველის პროსპექტზე მალე ვერ დაივიწყებენ ვერც თბილისელები, ვერც მისი მონაწილეები. სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლით მკერდდამშვენებული ტიგრან პეტროსიანი ბედნიერი იყო. მას საკუთარი თავის რწმენა და, ბუნებრივია, ახალი ძალები და ენერგია მოემატა. ბევრი ამბობდა: 1959 წელი პეტროსიანის წელიწადი იქნებაო. სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზიორს მიხეილ ტალს გუნება წაუხდა, მაგრამ არც თუ ძალიან! დასკვნითს ბანკეტზე სასტუმრო „თბილისში“ პეტროსიანმა და ტალმა, საჭადრაკო დაფასთან მეტოქეებმა, მაგრამ ცხოვრებაში მეგობრებმა, ერთად შეასრულეს ფიცხელი კავკასიური ცეკვა დანებით. გამოთხოვებისას ტალმა უთხრა: „ტიგრან, იუგოსლავიაში შეხვედრამდე!“. ეს საკმაოდ გასაგები „გადაკრული“ სიტყვა იყო.

ციურიხის დიდ ტურნირში მიხეილ ტალმა „აინაზღაურა“ წარუმატებლობა, რაც თბილისში ჰქონდა, და ბრწყინვალედ დაიკავა პირველი ადგილი. ჩვენს მოჭადრაკეებს კარგი, საგაზაფხულო განწყობილება ჰქონდათ.

მართალია, კარგი საგაზაფხულო და შემდეგ საზაფხულო განწყობილება შესამჩნევად წაახდინა ჩვენმა ახალგაზრდობამ. სამართლიანი არ იქნებოდა არ შევჩერებულიყავით ჩვენი წლევანდელი საჭადრაკო მოძრაობის ამ წარუმატებლობაზეც. მე მხედველობაში მაქვს შემდეგი ორი შეჯიბრება. ბუდაპეშტში ჩვენმა სტუდენტებმა შესაძლებლობა მისცეს ბულგარეთის გუნდს გაესწრო მათთვის და მსოფლიოს ჩემპიონის წოდება დაკარგეს. რასა ჰგავს ეს? მაგრამ ეს კიდევ მთელი უბედურება როდია. შეიძლება თავი ვინუგეშოთ იმით, რომ გუნდის შემადგენლობაში არ შევგვიყვანია არც ტალი, არც სპასკი. ბუდაპეშტში ერთ-ერთ მათგანს რომ მიეღო მონაწილეობა, რა თქმა უნდა, სულ სხვა თამაში იქნებოდა.

მაგრამ ცუდია, საკმაოდ შემაშფოთებელიც კი, რომ ჩვენ ვერ გვიპოვნია ძლიერი ჭაბუკი დევგმირი, რომელიც მსოფლიოს პირველობას მოგვიპოვებდა ჭაბუკებს შორის. შვეიცარიაში გავგზავნეთ მოსკოველი მოჭადრაკე ა. ტომპსონი, მაგრამ იგი ჩაფლავდა. ოდესღაც ბორის სპასკი იყო მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებს შორის. მაგრამ იგი ახლა გამოვიდა ასაკიდან (იქ მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს). ჭაბუკებს შორის მსოფლიოს პირველობაზე შეჯიბრებაში კარგად გამოდის არგენტინის ახალგაზრდობა: შარშან მსოფლიოს ჩემპიონი იყო პანო, წელს გაიმარჯვა ნიჭიერმა მოჭადრაკემ ბილიცკიმ. ჩვენში კი, სადაც ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკეთა აურაცხელი ძალები უნდა იყოს, ჭაბუკი ვერ შეგვირჩევია!

კიევში გვესტუმრა იუგოსლავიის ძლიერი გუნდი და ამ მატჩში ჩვენ დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში პირველად შეტანილ იქნა ჭადრაკიც. გასაკვირველი არ არის, რომ პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის გუნდმა — ჩემპიონებისა და გროსმაისტერების გუნდმა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სპარტაკიადაზე წარმატება ჰქონდათ საქართველოსა და ლატვიის გუნდებს. ამ ორ რესპუბლიკაში ჭადრაკი სულ უფრო პოპულარული ხდება. რიგაში „ამინდს აკეთებს“ მიხეილ ტალი. კარგი იქნება, თბილისშიც გამოჩნდეს „თავისი ტალიშვილი“ ან „ტალიაშვილი“.

იუგოსლავიის ორთვიანი საჭადრაკო გარბენის“ გმირი აღმოჩნდა მიხეილ ტალი. რომ მოეწყოს ანკეტა გამოკითხვით — წელს რომელ მოჭადრაკეს ჰქონდა ყველაზე მეტი წარმატებაო, უეჭველია ადამიანთა უმრავლესობა მთელ მსოფლიოში ხმას მისცემს მიხეილ ტალს. რიგაში დაბრუნების შემდეგ მან რამდენიმე დღე დაისვენა (თითქოს დაისვენა). მაგრამ ვინ მისცემდა მას ნამდვილი დასვენების საშუალებას? არავინ. აღტაცებული თანამემამულეები დაუსრულებლად უწყობენ ტალს შეხვედრებს. [illegible] მოუსმინა. ტალმა მოასწრო მინ აღენიშნა დიდი ოქტომბრის დღესასწაული, შეძლო აღენიშნა თავისი დაბადების 23-ე წლისთავი, ნოემბერში ჩამოვიდა მოსკოვში მ. ბოტვინიკთან „უმაღლეს საჭადრაკო დონეზე“ შესახვედრად და წაიკითხა ძალიან პოპულარული ლექცია.

შემდეგ მალე რიგაში დაბრუნდა და დაიწყო თამაში ტურნირში — ბალტიის ზღვა მეგობრობის ზღვაა, თუ ყოველივე ამას დავძენთ, რომ ტალმა ამ ტურნირის დასაწყისში სოლიდარობა გამოიჩინა ჩვენი 18 გროსმაისტერის მიმართ და თვითონაც დაქორწინდა, შესაძლოა მკითხველისათვის უფრო ნათელი გახდეს, ამ პატარა ტურნირში ტალი რატომ არ იყო ჯეროვან სიმაღლეზე.

იუგოსლავიაში დაძაბული 28 ტურის შემდეგ მას არ ძალუძდა გაეძლო კიდევ 13 ტურისათვის რიგაში. ფიზიკურად ასეთი ჰერკულესი როდია მიშა ტალი! ბორის სპასკი, რომელიც ტალის თანაბრად ჩვენი უდიდესი იმედია ჭადრაკში, შესვენების შემდეგ დიდი საჭადრაკო მადით თამაშობდა და „შეჭამა“ თითქმის ყველა თავისი მოწინააღმდეგე, მათ შორის ტალიც! მინდა აღვნიშნო მიკენასის წარმატებითი გამოსვლა. „მიკი“ ტურნირში თითქმის გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ მისი მეორე ადგილიც გამამხნევებელი შედეგია ჩვენთვის, „მოხუცებისათვის“ (მიკი 51 წლისაა). თურმე მას კიდევ შეუძლია ეთამაშოს ახალგაზრდობას.

თუ რიგელებს მხედველობაში ჰქონდათ, რომ ტურნირი „საპატიო წრე“ იქნებოდა მათი საყვარელი ტალისათვის, გამოდის, რომ შეცდნენ. ამჯერად ოვაციები არ ყოფილა. ახლა ზოგი ამბობს, მიშას რიგაში არ უნდა ეთამაშაო. სხვები ამბობენ, არა უშავს რა, ეს პატარა „შავი ლაქა“ ტალს არაფერს აკლებსო. ის მაინც ყოჩაღია, რომ დაღლილმა ითამაშა ტურნირში თავის სამშობლო ქალაქში. ვინ არის მართალი? ერთნიც და მეორენიც.

მშვიდობით, ძვირფასო 1959 წელო. სამწუხაროა, რომ დამთავრდი, — ამბობს მიშა ტალი.

სიამოვნებით გაგიხსენებ ხოლმე, ჩემო „ოქროს“ 1959 წელო, — ეთხოვება მას ტიგრან პეტროსიანი.

კინაღამ „ჩემი წელიწადი“ გახდი — ამბობს პაულ კერესი. „შენ მხოლოდ უსიამოვნებანი მომაყენე“ — შეიძლება დაიჩივლოს ვასილ სმისლოვმა. „მე მხოლოდ თვალყურს ვადევნებდი, როგორ იქცეოდნენ სხვები. მე წელს ნეიტრალური ვიყავი“, — ფიქრობს მსოფლიოს ჩემპიონი მ. ბოტვინიკი.

მსოფლიოში ვერავინ, ვერავითარი გროსმაისტერი, ყველანი ერთადაც კი, ვერ შეაჩერებენ დროს. მშვიდობით, 1959 წელო!

მოგესალმებით შენ, ახალო, 1960 წელო!

ახალ წელს ყველას შესაძლებლობა ექნება თამაშობდეს, იგებდეს, იმარჯვებდეს! ვუსურვოთ ყველას ბევრი სპორტული და შემოქმედებითი გამარჯვება! წინ არის დიდმნიშვნელოვანი სპორტული წელიწადი, ოლიმპიური წელიწადი.

გულითადად გისურვებთ დიდ ბედნიერებას და ჯანმრთელობას „კომუნისტის“ მკითხველებს, გისურვებთ კარგ მედგარ ნერვებს. თქვენ, ჭადრაკის გულშემატკივრებს, ნერვები ძალიან გესაჭიროებათ. 1960 წელს ბევრი ამბავია მოსალოდნელი. ეს წელი თქვენთვის იწყება ორი დელიკატესით — სსრ კავშირის ჩემპიონატით და ბოტვინიკ-ტალის მატჩით.

მოგილოცავთ ახალ წელს, ახალ ბედნიერებას გისურვებთ, კერძოდ თქვენ, ჩემო ძვირფასო თბილისელებო!

ყოველი მხრიდან

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია პარიზში ჩავიდა

პარიზი, 30 დეკემბერი. (საკდესი). ღეს პარიზში ჩამოვიდა ლიბერიაში მიმავალი საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. მუხიტდინოვის (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილის ა. ნ. კუზნეცოვისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის ქვეყნების განყოფილების გამგის ა. ა. შვედოვის შემადგენლობით.

დელეგაცია მიემგზავრება ლიბერიაში, რათა მონაწილეობა მიიღოს ზეიმში ლიბერიის რესპუბლიკის ახლადარჩეული პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის მიერ თანამდებობის ოფიციალურად დაკავების გამო.

მ. გლეზოსის საახალწლო წერილი

ბერლინი, 30 დეკემბერი. (საკდესი). საბერძნეთის ეროვნულმა გმირმა მანოლის გლეზოსმა ადნის სააგენტოს მეშვეობით საპატიმროდან საახალწლო წერილით მიმართა მთელი მსოფლიოს ყველა დემოკრატსა და მშვიდობისმოყვარე ადამიანს.

მანოლის გლეზოსი გულითად სალამს უძღვნის ყველა მშვიდობის მეგობარს გერმანიასა და მთელ მსოფლიოში, დემოკრატიულ უფლებათა ყველა დამცველს, რომლებიც იბრძოდნენ და იბრძვიან საბერძნეთში დემოკრატიისა და პოლიტიკური თავისუფლების აღდგენისათვის.

აკროპოლის გმირი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გასული წელი იყო მთელი მსოფლიოსათვის შესანიშნავ წარმატებათა წელი, რადგან ამ წელს დაიწყო „ცივი ომის“ ყინულების მოსპობა.

გლეზოსი აღნიშნავს, რომ 1959 წელი იყო დიდმნიშვნელოვანი წელი აგრეთვე საბერძნეთისათვის, რადგან მშვიდობისმოყვარე და პროგრესულმა ძალებმა აიძულეს კარამანლისის რეაქციული მთავრობა გადაედო რაკეტული ბაზების შექმნა საბერძნეთის ტერიტორიაზე, ხოლო სათემო არჩევნებში მათ მიიღეს უმრავლესობა სამ უდიდეს ქალაქში.

მანოლის გლეზოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომავალი უმაღლესი დონის თათბირი, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს მშვიდობისა და ხალხთა შორის შეთანხმების საქმეს.

უსიხარულო პერსპექტივები

ბუენოს-აირესი, 30 დეკემბერი. (საკდესი). 1959 წელი არგენტინისათვის ერთი ყველაზე მძიმე წელი იყო. ამ წელს მკვეთრად გაუარესდა ეკონომიური მდგომარეობა, უმაგალითოდ გაიზარდა ინფლაცია და სიძვირე, გაძლიერდა რეპრესიები მშრომელებისა და დემოკრატიული წრეების წინააღმდეგ. ოფიციალური წარმომადგენლები და ყველა მიმართულების პრესის ორგანოები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ 1959 წლის განმავლობაში არგენტინა მძიმე კრიზისს განიცდიდა.

ერთ წელიწადზე ნაკლებ ხანში ქაღალდის ფულის ნიშნების რაოდენობა მიმოქცევაში 26 მილიარდ პესოთი გადიდდა და 23 დეკემბრისათვის 97.440 მილიონ პესოს შეადგენდა. მთავრობის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა 1958-1959 საფინანსო წელს 38,5 მილიარდ პესოს მიაღწია. არგენტინის საგარეო ვალი 2,5 მილიარდ დოლარს აღემატება. როგორც ცნობილმა არგენტინელმა საზოგადო მოღვაწემ სილენსი დე სტანგიმ აღნიშნა, არგენტინამ იმდენი ვალი აიღო, რომ ვერ გაისტუმრებს თავის კრედიტებს.

1959 წელს 20 პროცენტით შემცირდა ხორბლის მთლიანი მოსავალი წინა წელთან შედარებით და 70,4 პროცენტით უკანასკნელი 5 წლის საშუალო წლიურ მოსავალთან შედარებით.

მთელი წლის განმავლობაში არგენტინელი ხალხი ცხოვრობდა საგანგებო წესებისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა შეზღუდვის პირობებში.

1960 წელი ახალ გაჭირვებას უქადის არგენტინელ ხალხს. 1 იანვრიდან ოფიციალურად იზრდება 33-100 პროცენტით ქალაქის ტრანსპორტით მგზავრობის ფასი, აგრეთვე რკინიგზის ტარიფები. მოელიან მთელი რიგი საქონლის ფასების მომატებას.

სიტყვით მშვიდობა, საქმით — ატომი...



კაცი კაცისთვის თუ იყო მგელი,
ახლა სულ მგლობა სწყურია ნატოს.
სიტყვით ვითომდა „მშვიდობის“
მცველი,
საქმით საომრად ამზადებს ატომს.



დგას „ცივი ომის“ ერთ-ერთ
ქურუმად
ფრანკო — ესპანელ ხალხის ჯალათი.
ჩაიცვა ბოლმით გულდაბურულმა
სვასტიკიანი შავი ხალათი.

ნახატი მ. ოთაროვისა.

ვისაც ჩემი გული ეკუთვნის

ვ. ვასილიევი

სპორტის დარგის ჟურნალისტს თავისი პროფესია ყოველთვის როდი აკმაყოფილებს. რაც არ უნდა ვთქვათ, თვითეული მიმომხილველის სულში ცხოვრობს ჩვეულებრივი გულშემატკივარი, რომელსაც სურს ფეხბურთის მატჩზე კიდევაც იხმაუროს, მსაჯსაც შეუკურთხოს, სიხარულით ქუდიც აისროლოს, როცა მისი საყვარელი გუნდი იგებს. ნაცვლად ამისა, იგი მოვალეა შეინარჩუნოს აღუშფოთებელი სახე, საჩქაროდ (და მიუდგომლად!) ასახოს ბლოკნოტში ამბების მიმდინარეობა მინდორზე.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია ჟურნალისტი, როცა დავალებას იღებს დაწეროს „გულთბილი რამ“ იმ გუნდის შესახებ, რომელიც მას გუნებაში არ მოსწონს.

მაგრამ არის ბედნიერი წუთებიც, როცა დაწერა გიხდება იმ გუნდზე, რომლის გულშემატკივარიც ხარ. ასეთი წუთები შემხვდა ახლა: გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მთხოვა გავუზიარო მის მკითხველებს აზრები ფეხბურთის მომავალი სეზონის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რა შეიძლება მოელოდეს ამ სეზონში თბილისის „დინამოს“ გუნდს, რომელსაც დიდი ხანია ჩემი გული ეკუთვნის...

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ვერავითარი ფანტაზია, ვერავითარი წარმოსახვა ვერ მოგვცემს საშუალებას ზუსტად, დეტალებამდე წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იქნება მომავალი სეზონი, როგორი ზნე-ჩვეულება, როგორი ხასიათი ექნება. „ა“ კლასში გუნდების რაოდენობრივი ცვლილება — მათი რიცხვის აყვანა 12-დან 22-მდე გარდუვლად გამოიწვევს თვისებრივ ცვლილებებს.

რა პარადოქსალურადაც უნდა გვეჩვენოს, განსაკუთრებული სიძნელის გადატანა ალბათ მოუხდებათ უმაღლესი კლასის გუნდებს, რომლებიც გააფთრებით იბრძოლებენ თავიანთ ქვეჯგუფებში ფინალურ ექვსეულში გამოსასვლელად.

ამიტომ დიდად შეცდება ის, ვინც იფიქრებს, რომ „ახალბედები სტადიონზე“ ქულების მომტანები იქნებიან. სულაც არა! უფრო მეტსაც ვიტყვი — დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი სეზონი ფეხბურთის მოყვარულებს რამდენიმე სიურპრიზს მოუტანს, მსგავსად იმისა, როგორც ეს 1959 წელს როსტოვის „სკვო“-ს გუნდმა გააკეთა. როსტოვის „სკვო“-მ, რომელიც ოსტატობით დიდად ჩამორჩებოდა უმაღლესი ჯგუფის ბევრ გუნდს, უბოდიშოდ მიყარ-მოყარა კონკურენტები და მეოთხე საპატიო ადგილი დაიკავა. აი რის გაკეთება შეუძლია შეტევასა და ენერგიას!

მაგრამ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ფეხბურთის სცენაზე ახალი შემსრულებლები გამოჩნდებიან. მომავალ წელს გუნდებს მოუხდებათ უკვე არა ოცდაორი კალენდარული თამაშის, არამედ ოცდაათი თამაშის ჩატარება — ეს განსხვავება არც თუ ისე მცირეა. თუ წინათაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატს ფეხბურთის მარათონს უწოდებდნენ, ახლა რაღას შეიძლება შევადაროთ იგი?

მაშასადამე, დანამდვილებით ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეძლებენ მწვრთნელები შემადგენლობით მანევრირებას, გუნდის ძალების განაწილებას დისტანციაზე.

გასულ სეზონში თბილისის დინამოელთა წარმატების ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ გუნდმა უკანასკნელი თერთმეტი თამაში ჩაატარა ერთი და იმავე შემადგენლობით (ერთხელ თუ ორჯერ თამაშში არ გამოსულა მხოლოდ მეკარე სერგო კოტრიკაძე). ასეთი მუდმივობა აიხსნებოდა პირველ რიგში იმით, რომ მწვრთნელებმა ანდრო ჟორდანიამ და ნესტორ ჩხატარაშვილმა შეძლეს კარგად გარკვეულიყვნენ გუნდის წევრთა ხასიათებსა და ინდივიდუალურ თავისებურებებში და გაენაწილებინათ ისინი საქმის ზედმიწევნითი ცოდნით. ამის შედეგად გამოვიდა მონოლითური ანსამბლი, რომელიც ყოველი თამაშის შემდეგ სულ უფრო მტკიცე ხდებოდა.

და აი მაშინ, როცა ზოგიერთი სხვა მწვრთნელი დაუსრულებელ ექსპერიმენტებს ახდენდა შემადგენლობაზე, დინამოელები ქულებს აგროვებდნენ.

გუნდის „ბრინჯაოს შემადგენლობა“ კარგია, მაგრამ 1960 წლის ჩემპიონატის ახალ, უფრო მძიმე პირობებში ალბათ საჭირო იქნება უფრო სერიოზულად დაფიქრება რეზერვის პრობლემაზე. მაშასადამე, საჭიროა მზადება თუ ცვლისა არა, მაშველი ძალისა მაინც, რომელიც შეძლებს საჭირო მომენტში მიეშველოს გვარდიას.

ეს პრობლემა მით უფრო სერიოზულია, რომ სეზონის დასაწყისში, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ „ა“ კლასში ახალი გუნდები მოდიან, შეიძლება ველოდეთ მძაფრი თამაშის ვირუსული ეპიდემიის აფეთქებას.

რა თქმა უნდა, დროება იცვლება და ამასთან იცვლება იმათდამი დამოკიდებულებაც, ვინც ცდილობს გადააქციოს ფეხბურთი, ეს ლამაზი და ჭკვიანური თამაში, თავისუფალი ჭიდაობის მსგავს რაღაცად. მაგონდება, ორი წლის წინათ „ლოკომოტივსა“ და „სპარტაკს“ შორის საბჭოთა კავშირის თასზე ფინალური მატჩის შემდეგ ზოგი ვინმე ცდილობდა გმირად გამოეცხადებინა რკინიგზელთა დამცველი როგოვი, რომელმაც „სპარტაკის“ თავდამსხმელებს ერთხელაც არ მისცა საშუალება ახლო მანძილიდან დაერტყათ კარში. როგოვის „მეოხებით“ რომ მინდვრიდან ორი სპარტაკელი გაიტანეს, მძაფრი თამაშის მომხრეები დუმდნენ.

გასული სეზონის ბოლოს უხეშებს, როგორც იქნა, ომი გამოეცხადათ. და მაინც გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ უხეშობას სამუდამოდ მოეღო ბოლო. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, თბილისის დინამოელების წინაშე დგას საკმაოდ ძნელი, მაგრამ ფრიად კეთილშობილური ამოცანა — უფრო დამაჯერებლად, ვიდრე შარშან, დაამტკიცონ, რომ ტექნიკური თამაში არა მარტო უფრო ლამაზი, უფრო ეფექტურია უხეშ თამაშზე (ეს კარგად ესმით თვით უხეშებსაც!), არამედ იგი უფრო ხელსაყრელიც არის, რაციონალურიც და ძლიერიც.

რამდენსაც არ უნდა მოითხოვდეს სპორტული საზოგადოებრიობა უხეშობის აღკვეთას მინდორზე, რა ხშირადაც უნდა ანელებდეს მსაჯის სასტვენის ხმა „ძალოსანთა“ გზნებას, შეუძლებელი იქნება ჩვენი ფეხბურთიდან უხეშობის სამუდამოდ განდევნა, თუ დამტკიცებული არ იქნება, რომ ტექნიკური გუნდის წინააღმდეგ უძლური არიან უხეში თამაშის მოყვარულები. ამ აზრით — ეს შეიძლება ითქვას სრულიად გაუზვიადებლად — თბილისის „დინამოს“ მეტად დიდი მისია აკისრია და თუ ქართველი ფეხბურთელები შეასრულებენ მას, მათ მადლობას ეტყვის ფეხბურთის თვითეული საბჭოთა მოყვარული.

ეს მისია რატომ აკისრიათ დინამოელებს? უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი ჩვენი ყველაზე ტექნიკური გუნდია. სპარტაკელები ნეტო ან სალნიკოვი ინდივიდუალურად იქნებ კიდევაც სჯობიან ცალკეულ თბილისელ მოთამაშეებს, მაგრამ მოსკოვის „სპარტაკშიც“ კი, სხვა გუნდებზე რომ აღარა ვთქვათ რა, ტექნიკა არ არის გარემოსილი ისეთი პატივისცემით, როგორც თბილისის „დინამოში“.

როცა გუნდი ბელგიასა, ლუქსემბურგსა და საფრანგეთში მოგზაურობიდან დაბრუნდა, მე ფეხბურთელებს აეროდრომზე დავუხვდი და ვკითხე, თუ რამ მოახდინა მათზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება. **ტექნიკამ!** — მიპასუხეს მათ, თან ყურებს იხრესდნენ ოცდაათგრადუსიან ყინვაზე. — **ტექნიკამ!**

ასე თქვეს ჩხატარაშვილმაც, ძმებმა კოტრიკაძეებმაც, ზაურ კალოევმაც, იმ კალოევმა, რომელიც მესხთან, თორაძესთან და სერგო კოტრიკაძესთან ერთად მოიხსენია „რესინგთან“ მატჩის შესახებ ანგარიშში პარიზის გაზეთმა, რომელმაც თქვა, რომ ისინი ბედნიერება იქნებოდნენ საფრანგეთის ყოველი პროფესიული გუნდისათვის!..

თავიანთი ტექნიკური, მწვავე და ტემპიანი თამაშით თბილისელებმა თაყვანისმცემლები მოიპოვეს ქვეყნის ყველა სტადიონზე, სადაც კი ისინი გამოსულან. შემთხვევითი როდია, რომ თბილისელთა მატჩებზე მუდამ ყველა ბილეთი იყიდება. ფეხბურთის მოყვარულები შეიძლება არა თბილისელთა, არამედ სხვა გუნდის გულშემატკივრები იყვნენ, მაგრამ არავის არა სურს გამოტოვოს ქართველი ოსტატების გამოსვლა.

ყოველივე ეს ასეა. მაგრამ კიდევ საჭიროა დარწმუნება — და არა მარტო მაყურებლების, არამედ თავიანთი მოწინააღმდეგეებისაც, ეს კი უფრო რთული საქმეა, რომ სწორედ ფილიგრანულ ტექნიკას მოაქვს მედლები და ჟეტონები, და მარტო ბრინჯაოსი კი არა!

ამასთან დაკავშირებით ჩემს თავს ნებას მივცემ თბილისის „დინამოს“ მოსკოველ პატივისმცემელთა სახელით ვუთხრა მოთამაშეებს: ნუ დამშვიდდებით! ფეხბურთში, რომელიც ახლა სწრაფად ვითარდება, ერთ ადგილზე დგომა არ შეიძლება. საკმარისია შეჩერდეთ, საკმარისია დაიჯეროთ ადვილად ვიმარჯვებთო — და თქვენ უცილობლად უკან ჩამორჩებით.

გაიხსენეთ მატჩი „ლა-განტუაზთან“ ბელგიაში. 3:0 პირველ ტაიმში! და 0:3 — მეორეში! დაე ეს სამი უკანასკნელი ბურთი დიდხანს დაამახსოვრდეთ მოთამაშეებს და აიძულონ ისინი მომავალ სეზონში მუდამ იმყოფებოდნენ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში. და თუ ეს ასე იქნება, შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს, რომ მომავალ საფეხბურთო ბრძოლებში თბილისელი დინამოელები არა მარტო შეძლებენ შეინარჩუნონ მოპოვებული ზღუდეები, არამედ იქნებ იერიშით აიღონ ახალი მწვერვალები.

... რამდენიმე ხნის წინათ ერთმა სპორტის დარგის ჟურნალისტმა თბილისის გაზეთში გამოაქვეყნა ნარკვევი სახელწოდებით: „გამოჩნდება თუ არა გარინჩა მტკვრის ნაპირებზე?“ მინდა ვისარგებლო ამ სათაურით და გამოვთქვა ერთი სურვილი — დაე იგი საახალწლო სადღეგრძელოს სამაგიერო იყოს.

მე მსურს რაც შეიძლება მალე დადგეს დრო (ჯერჯერობით, სამწუხაროდ, შორეული), როცა რიო-დე-ჟანეიროს რომელიმე სპორტულ გაზეთში დაბეჭდილი იქნება სტატია სათაურით: „გამოჩნდება თუ არა მესხი ამაზონის ნაპირებზე?“...

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ლონდონი, 30 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ქალაქ ჰასტინგსში გაიხსნა 35-ე ყოველწლიური საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას იღებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 140 მოჭადრაკე. საბჭოთა კავშირიდან ტურნირში გამოდის დიდოსტატი ი. ავერბახი. ტურნირში მონაწილეობას იღებენ იუგოსლავი დიდოსტატი ს. გლიგორიჩი, ინგლისელი მოჭადრაკეები ჰ. გოლომბეკი და უ. უინსერი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

თბილისის
თეატრებსა და კინოებში

1 იანვარს

ოპერისა და ბალეტის — წითელქუდა (დღისით), აიდა (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ფილოსოფიის დოქტორი (დღისით), ამბავი სიყვარულისა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჩარლის დეიდა (დღისით), ორი ფერი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — თხუნელა (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს (დღისით), სიმღერა თბილისზე (საღამოს, რკინიგზელთა სახლში).

2 იანვარს

ოპერისა და ბალეტის — ამაო სიფრთხილე (დღისით), ტრავიატა (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ამბავი სიყვარულისა (დღისით), ერთხელ დახოცილები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ფერი (დღისით), ამერიკული ტრაგედია (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — თხუნელა (დღისით), წყვდიადიდან გამოქცევა (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე (დღისით), ალეუმი (საღამოს, რკინიგზელთა სახლში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (აბონ. № 46), ვარსკვლავბიჭუნა (აბონ. № 33, 3 ს.), **თოჯინების ქართული** — დიდი ივანე (12 ს.), ჭაბუკი დარუბანიდან (3 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — კანონი კანონია, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, დიდუბე — დღეს უკანასკნელად, თბილისი, საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა — მოკლეშარვლიანი ადამიანი, კომკავშირელი — გზა მაღალი საზოგადოებისაკენ, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო და საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის** კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, კოლმეურნე, ყაზბეგი — დედა, მამა, ჩემი ცოლი და მე, ოფიცერთა სახლი — მორევი, კიროვის სახელობის პარკი—ბრძოლა ველზე, კომუნარების ბაღი—პაწაწინა, თანამგზავრი — „დავა ლუკაშებში“, 26 კომისრის სახელობის — უსასრულო გზა.

ტელევიზია

1 იანვარს

დღისით

გადაცემები მოსწავლეთათვის

14.00 — „თორმეტი თვე“ (ნახატი-ფილმი) — ზღაპარი, 15.00 — ლენინგრადის თოჯინების თეატრის სპექტაკლი — „სარბიელზე არიან თოჯინები“.

საღამოს

19.30 — კინოკომედია „საკარნავალო ღამე“, 20.50 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 21.30 — საახალწლო კონცერტი (ცენტრალური სატელევიზიო სტუდიის გადაცემა).

2 იანვარს

დღისით

გადაცემები მოსწავლეთათვის

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — ნახატი-ფილმი „ზუსტად 3.15“, 12.35 — „საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე“, 12.45 — მხატვრული ფილმი „ვარსკვლავბიჭუნა“.

საღამოს

19.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.50 — კინოჟურნალი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები, 20.10 — კინოკომედია „დაუმორჩილებელნი“, 21.40 — კინონარკვევი, 22.00 — კინოვიქტორინა.

3 იანვარს

19.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის ნახატი-ფილმი „თოვლის დედოფალი“, 20.40 — კინონარკვევი, 21.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 21.15 კინოჟურნალი, 21.25 — ახალი უნგრული მხატვრული ფილმი „კონტრაბანდისტები“, 22.45 — ა. პ. ჩეხოვის დღეებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჯადოქარი“.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 08036 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 2